

619 / 3
1951



ეროვნული
ბიბლიოთეკა



619/3

18

დროშა
№ 1 1951



ქართული
ბიბლიოთეკა





ქართული
ბიბლიოთეკა



რედაქციისაგან

არასოდეს საქართველოში ისე საჭირო არ ყოფილა მხატვრულ-ილუსტრირებული ჟურნალი, როგორც ამჟამად. სოციალისტური საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ძალუხად ჩქეფს დიადი შემოქმედებითი შრომა, საბჭოთა ადამიანები ყოველდღიურად სასწაულებს ახდენენ კომუნისტების მშენებლობის ყველა უბანზე. ყველაფერი ეს მოითხოვს აღბეჭდვას ლექსსა და მოთხრობაში, მხატვრულ ნარკვევსა და რეპორტაჟში, ნახატსა და ფოტოში, ქრონიკასა და ინფორმაციაში.

ჟურნალ „დროშის“ დაარსებაც სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია. „დროშამ“ ნომრიდან ნომერში თვალწინ უნდა გადაგვიშალოს ცხოვრება დღევანდელი საქართველოსი, რომელიც მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად მტკიცედ დგას განუხრელი წინსვლის და აღმავლობის გზაზე.

ჩვენი ჟურნალი მოწოდებულია მოგვითხრობდეს ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის ამბებს, აღბეჭდავდეს ჩვენი თანამედროვეების სახეებს, ნერგავდეს სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს, გვიხატავდეს იმ ახალ მოვლენებს, რომლებიც მუდამ უადრესად მხურვალე გამომავლებას ბოლოვებენ საბჭოთა ადამიანების გულში.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე აღიბეჭდება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის წარმატებანი, მშვიდობის ვახტზე მდგომი ადამიანების შრომითი და შემოქმედებითი მიღწევები. ჟურნალის ფურცლებზე უნდა აისახოს კომუნისტების გიგანტური მშენებლობანი, საქართველოს წველილი ამ დიად მშენებლობებში, საქართველოსი, რომელმაც დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაიმკვიდრა საუკუნეებით ნანატრი თავისუფლება და რომელიც სტალინურმა ხელწოდებმა შეაიარაღეს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიით, უახლესი თანამედროვე ტექნიკით.

ჩვენი ჟურნალის ამოცანაა აჩვენოს კომუნისტების ხარაზობაში მდგომი საქართველო, რომლის ველ-მინდვრები მოფენილია ახალი საწარმოებით, დიდი და პატარა ელსადგურებით, ახალი შახტებით, კეთილმოწყობილი ქალაქებით და დაბა-სოფლებით, დაქსეილილია გზატკეცილებით, რკინიგზებით, ახალი სარწყავი არხებით, დაფარულია ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების ახალი პლანტაციებით, ზვრებიითა და ბაღებით, ახლად მოხსნული და დამუშავებული მიწებით, რომლებიც უხვ მოსავალს იძლევიან. ჩვენი ჟურნალი გაცნობს მკითხველს ჩვენი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების საქმიანობას, მოუთხრობს მათს პატრიოტულ ღვაწლსა და გმირობაზე.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე აისახება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის—თბილისის შემდგომი გამშენებისაკენ მიმართული ფართო ღონისძიებანი, ახალი საქართველოს სიამაყის რუსთავისა და სამგორის მოწინავე ადამიანთა შემოქმედებითი ცხოვრება.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უნდა აისახოს საბჭოთა საქართველოს ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის მიღწევები, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მჩქეფარე ცხოვრება, შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნებისა.

და ცხადია, ჩვენი ჟურნალის ცენტრში იქნება საბჭოთა ადამიანი, რომელიც ქმნის მთელს ამ წარმატებულ ცხოვრებას, რომლის დაუსრუტელი ენერჯია გააღვიძა და აამოძრავა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ დიდი სტალინის გენიამ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნულმა, დაუცხრომელმა მოღვაწეობამ. ჩვენმა ჟურნალმა უნდა გასწიოს საბჭოთა პატრიოტიზმის შეუწყლდელი პროპაგანდა, უნდა გამოხატოს დიდი ბელადისადმი უსაზღვრო მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობა, რომლითაც მოცულია საბჭოთა ადამიანის მთელი არსება.

ამ სიყვარულს უნერგავდა ჩვენს ხალხს წლების განმავლობაში დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლ. ბ. ბერიძე. ამ სიყვარულით ზრდის ქართველ ხალხს საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამ უადრესად დიდი და კეთილშობილური მიზნების სამსახურში „დროშა“ ეცდება თავის გარშემო შემოიკრიბოს რესპუბლიკის ყველა შემოქმედი მუშაკი, ეცდება აჩვენოს ბედნიერი ქართველი ხალხის ცხოვრების სწორი და მიმზიდველი სურათი.



ლავრენტი პავლეს-ჰე ბერია

ახალგაზრდობის ფესვივალზე

კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურნი ყოველნაირად აბრკოლებენ მსოფლიო ახალგაზრდობის ბერლინის ფესტივალზე დელეგატების გამგზავრებას.
(გაზეთებიდან)

გალმელებო! თქვენი რისხვა უკვე გვიან არი, თავის ქვეყნის ბედს და მყობადს ხალხი თვითონ მართავს, ვის აშინებთ! მოვარდნილი ჭორის ნიაღვარი დაიმსხვრევა გამარჯვებულ საბჭოეთის კართან.

სადა თქმულა, რომ უკუღმა ტრიალებდეს ჩარხი, ყველა ცდილობს საზეიმოდ სალამურის გათლას. სამშობლოსთვის, სტალინისთვის, მღერის ჩვენი ხალხი, დღეს „მშვიდობა“ აწერია ამ დროშების ატლასს.

ვერ ამღვრევს მტერი ღრუბლებს ოქროს გაზაფხულზე! ვინ გაბედავს, ეს ზეიმი ჩაშალოს და მოსბოს! ხედავთ! ხალხი მსოფლიოსი იმედებით უმზერს მშვიდობის და შრომის კერას — თავისუფალ მოსკოვს.

ი. გრიშაჟვილი

496



გიორგი ნაჭროვილი

ბოლონური ილუსტრირებული ჟურნალის „პშიაზ-ნის“ ფურცლებზე საინტერესო სურათია დაბეჭდილი: ლიუბლინის მახლობლად, ფართოდ გაშლილ მიწ-დორზე ნათესების კვლები პორიზონტამდე გადაჭიმულან, კვლებში ადამიანების ჯგუფი მოჩანს. შუაში მდგომი დახრილია და ხელით სინჯავს ნათესებს, ირგვლივ მყოფნი დაძაბული ყურადღებით შესცქერავენ მას. ესენი ბოლონეთის სასოფლო-სამეურნეო კომპერატოვების წევრები არიან, ხოლო შუაში მდგომის იერი თითქოს ნაცნობად გეჩვენებათ — ასეთი სახე საქართველოში შეგხვდებათ. ის მართლაც საქართველოდან მოვიდა ვისლის ნაპირებზე, შორიდან მოვიდა, იქიდან, სადაც ლურჯ ზეცაში ყვარლის მთები აწვდილან და დინჯი ალაზანი მოდღუდუნებს. სურათზე წარწერა გვაუწყებს, რომ, როცა ბოლონელებმა სტუმარს თავიანთი მიწდებობი უჩვენეს — მან თქვა:

— კარგი ნათესები გქონიათ... კარტოფილიც მომეწონა, კომბოსტოც და შაქრის ტარხალიც.

სინარულისა და სიამაყის გრძნობამ გააბრწყინა ბოლონელების სახე იმით, რომ ეს სიტყვები წარმოთქვა არა უბრალო სტუმარმა, არამედ მოსავლის დიდმა ოსტატმა, რომელიც აქ მსოფლიოში ყველაზე მაღალი კულტურის ქვეყნიდან მოვიდა. რა დასამა-ლაგია, ბოლონელები ღელავდნენ, როცა ეს კაცი თავიანთ მიწდებობზე გაიყვანეს, ღელავდნენ ისე, როგორც ღელავს ყველაზე კარგი მოწაფეც კი, როცა ის თავის ნამუშევარს წარუდგენს ხოლმე გამოცდილს და დაბრძანებულ მასწავლებელს. ყველა ოსტატი ძუნწია ქებაზე, მათთვის უცხოა ყალბი თავაზიანობა და ტკბილ სიტყვას აგრე ადვილად არ დახარჯავენ... და როცა სტუმარს ეს ნათესები მოეწონა, ამან ძალიან გაახარა ბოლონელები. ეს სტუმარი — ლიუბლინში ჩასული ქართველი გლეხია, ყვარლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც თუმცა ჯერ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსუა, ისიც დაუსწრებელზე, მაგრამ მას იმდენი შესძინა ცხოვრების დიდებულმა სკოლამ, ცხოვრების იმ უნივერსიტეტმა, რომელსაც საკოლმეურნეო წყობილება ეწოდება და რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერებაზეა დაფუძნებული, რომ უკვე შესწავის უნარი თვითონ ასწავლის გადვიძებულ ცენტრალურ და ადგილობრივ ევროპას. ამიტომ მოხდა, რომ ამ ქართველი გლეხის სიტყვებს, მის დარბევას, როცა ის ათვალერებდა ბოლონეთის მიწდებობს, ორმოცდაათი წლის სექტემბერში ბირველ გვერდებზე ათავსებდნენ ბოლონეთის გაზეთები ისევე, როგორც ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის პროფესორის მარიამ ბელოშაპკოვას სიტყვებს.

ბოლონელი გლეხები ძნელად არჩევდნენ, რომელი იყო სტუმარი შორის მეცნიერების დოქტორი და რომელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. როცა მოსავალზე მიდგება საქმე, როცა ყანაზე და სიმინდზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტოლს არავის დაუდებს. ეს საბჭოთის დაუწერელი კანონია: კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიკო ბუჯიაშვილი ახორციელებს იპას, რასაც კათედრაზე კითხულობს ტიმირიაზევის აკადემიის პროფესორი. ასე სწავლობენ ერთმეორისაგან მეცნიერი და გლეხკაცი. ამიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველდღე ხდება სასწაულები: როცა ჩაგანაკ ბერისევა კაცობრიობის ისტორიაში არახსულ გამარჯვებას მიადწია და ჰექტარზე 201 ცენტნერი (1206 ფუთი) ფეტვი მოიყვანა, თვითონ ჩაგანაკიც აღარ უგურობდა თავის

საკუთარ თვლებს, ხელახლა შეამოწმებინა სასწორი, მერე საწონები და ბოლოს დაინახეს, რომ ეს მართლაც ასე იყო. ჩაგანაკს ეს ოსტატობა ასწავლეს ვილიამსმა და ლისენკომ. როცა აკადემიკოსმა ლისენკომ ეს ამბავი შეიტყო, მან თქვა:

— მე მწამდა, რომ ეს ასე იქნებოდა. და ჩაგანაკმა ეს დაამტკიცა. დაე ახლა პროფესორებმა, რომელთაც არ სურთ ჩამორჩნენ უცხოვრებას, ხელახლა გადაწერონ თავიანთი სახელმძღვანელოები.

მთელ მსოფლიოს ედებოდა ასეთი ამბები და იცოდნენ ეს ბოლონეთშიც. ამიტომ ძვირად უღირდათ ბოლონელ გლეხკაცებს ოსტატის სიტყვა. მოხუცმა ბოლონელმა ქალმა, რომელმაც თავისი სიცოცხლე პან რაძივილის კარზე მოუკამაგრებოდა ში გავატარა, მოსკოვის აკადემიის პროფესორს მარიამ ბელოშაპკოვას და ყვარლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სიკო ბუჯიაშვილს თავთავების კონა მიუტანა, როგორც სიმბოლო თავისი ბედნიერებისა. ბუჯიაშვილმა ღიმილით დახედა თავთავებს: არა, მათ ჯერ ბევრი აკლიათ იქამდე, რომ ლაგოდნურ გრძელთავთავს და ქართულ დოლს შეედარონ, მაგრამ სადაც საქმის სიყვარულია, იქ გამარჯვებაც მუდამ ახლავს.

ეს იყო ორმოცდაათი წლის შემოდგომაზე, მოსავლის დღესასწაულზე. საბჭოთა პროფესორები და კოლმეურნეონი ჯერ რაიონის მიწდებობს ათვალერებდნენ, მერე სოფლის კლუბში თავს მოყრიდნენ ბოლონელი გლეხები და ეკითხებოდნენ სტუმრებს, ეკითხებოდნენ დაუსრულებლად: ეს როგორ გვაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ და ა. შ. სტუმრებიც ასწავლიდნენ. რაც უფრო ახლო ეცნობოდნენ ქართველ გლეხს, მით უფრო უკვირდათ ბოლონელებს — აღარაა ჰქონდა საზღვარი მათ სინარულს, როცა გაიგეს, რომ სიკოს პატარა გოგო-ბიჭები, სადაც შორს ყვარელში ბიანინოზე მეცადინებენ და შოპენის მელოდიებს ასრულებენ.

იცი, ჩემო მკითხველო, რა იყო გუშინ ჩვენი გლეხკაცი? როცა ჯერ ისევ რევოლუციამდე ჩვენში შაბიანით ბირველად შეწამლეს ვენახები და გოგირდი შეაფრქვიეს, მკითხავენმა აქაურობა შემერეს: ქვეყნის აღსასრული დგება, დედა-ღვთისმშობელი ცხარე ცრემლითა ტირის — თვალეში შაბიამანი და გოგირდი შემაყარესო, ვენახი წაბილწეს და წმინდა ზედაშე გააუწმინდურესო. დღეს კი ამ კუთხეში მთელი საუკუნეებით ნანტომი გააკეთა წინ, და მკითხავენის ის ბოღვა ქვეყანაზე აღარავის ახსოვს და სჯერა, გარდა ამერიკელი პროფესორებისა, რომელნიც უნივერსიტეტის კათედრებზე ხმამაღლა გაჰყვირიან — დავუბრუნდეთ ბიბლიურ ბირველყოფილობასო. ამერიკელმა პროფესორმა ე. ფოლკნერმა ახლახან გამოსცა წიგნი „მხვინელ-მთესველის გავიგება“, რომელშიაც წერს: „ძირს საზიზ-ლარი გუთანი, წყველა-კრულვა თანამედროვე მიწათ-მოქმედებას, ძირს მინერალური სასუქები“. ამ წიგნს ოკლაჰომის უნივერსიტეტის ვიზა აქვს და ავტორიც სწორედ ისე ბოდავს, როგორც ქადავად დაცემული მკითხავეები ოდესღაც უსანეთისა, წმინდა-გიორგისა და კვირაცხოვლის დღეობებზე. მე თვითონ კარგად მახსოვს, ჩემო მკითხველო, რომ ყვარელმა გლეხმა ოცი-ოცდაათი წლის წინათ არც კი იცოდა, არსებობს თუ არა ბოლონეთი ქვეყანაზე, სამყაროს კიდე მისთვის გომბორზე, დიდი, დიდი თრიალეთის

ქედზე თავდებოდა, სადაც მას საიალოდ ცხვარი მიჰყავდა. დღეს კი ბოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი სიკო ბუჯიაშვილთან ერთად სურათს იღებს და ქართველ გლეხს მაღლობას უხდის, რომ მან თავისი გამოცდილება არ დაზოგა და ბოლონეთის სოფლის მეურნეებს გაუზიარა.

აი რა მისცა სტალინმა გლეხკაცს, რა სიმამლევზე აიყვანა იგი, რა, მართლაც, კაცურ კაცად აქცია.

ბოლონელების სტუმარს გული აღარ უჩრდილებოდა ვისლაზე, ალაზნისაკენ მოიწვედა, სექტემბერი იყო და შორს, ყვარელში საფუძველი ეყრებოდა ორმოცდა-თერთმეტი წლის მოსავალს. მართლაც სასწრაფოდ გამოეშურა და მალე ისევ თავის კოლმეურნეობაში იყო.

* *

ათას შვიდას ორმოცდაათ ჰექტარზე ერთიმეორეს მისდევნენ ამწვანებული ბალ-ვენახები, ბურის ყანები, სიმინდის ნათესები, ესპარტეტისა და იონჯის მიწდებობი. ეს ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებია. ამ მიწებს სამხრეთის მხარეს წყნარი და დინჯი ალაზანი სჭრის, აღმოსავლეთის მხარეს გადაარული ბურსა მოგრიანებს, ხოლო დასავლეთით ცოფიანი დურუჯი მოღრინავს... ჩრდილოეთით კი ყვარლის მთები აწვდილან, ციავ კამარას რომ უმკობენ საქართველოს ცას.

სადაც ზევილი, სათავის მახლობლად დურუჯი გევა მთასა კვეთავს, შლის და ბარისაკენ ხამი ნიადაგი მოაქვს, რომელიც ყველა სასუქზე უკეთესია... ეს ლამი და აქაური მზის სხივი აძლევს ქინძმარულს იმ გემოს, რომელმაც მას ასე გაუთქვა სახელი. ამიტომ დურუჯს ვენახების სარწყავად მიუშვებენ ხოლმე.

მაგრამ ბურსა და დურუჯი რამდენსაც ხმაურობენ, იმდენი ხერი არ მოაქვთ... როცა სიმინდებს ყველაზე ძალიან გაუჭირდებოდა, ისინი მაშინ დაშრებიან ხოლმე. ხშირი წვიმების დრის კი, როცა საჭირონი არ არიან, ისე მოდიდდებიან, რომ თავიანთ კალაპოტში ველარ ჩატეულან და სოფელზე იწვევენ; განსაკუთრებით დიდი ზარალი მოჰქონდა გადარეულ დურუჯს, ამიტომ მაგარი ზღუდე ამოუშვეს და ჩაკეტეს.

აი ამ ბრძოლას ბუნებასთან სათავში უღდას სიკო ბუჯიაშვილი. მას მხარში უღდანან გამოცდილი ბრიგადირები და კოლმეურნეები, მათ შორის მემინდერეობის ბირველი ბრიგადის ბრიგადირი გიორგი ქანდაურაშვილი, რომელიც წელს 116 ჰექტარი ხორბლის ნათესის თითო ჰექტარზე სარეკორდო მოსავალს — 22-25 ცენტნერს მიიღებს, ხოლო 35 ჰექტარი სიმინდის თითო ჰექტარზე — 60-65 ცენტნერს; ხორბლის ასეთსავე მოსავალს 146 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე იღებს იასონ ჭუმბურიძის ბრიგადა, ეს მემინდერეობის მესამე ბრიგადაა. არც მეოთხე ბრიგადა ჩამორჩება ბირველსა და მესამეს: მირონ ბაღალიშვილმა 81 ჰექტარ ქერის ყოველ ჰექტარზე გვემით გათვალისწინებული 17,5 ცენტნერი ნაცვლად 21 ცენტნერი მიიღო... მეოთხე ბრიგადას 126 ჰექტარი ხორბალი აქვს. აქედან ანტონ ქელესაშვილის კომბაინმა 10 იენისისათვის უკვე თორმეტი ჰექტარი აიღო და ჰექტარზე 21 ცენტნერი ხორბალი მიიღო. გვემით კი მარტო 17,5 ცენტნერი იყო გათვალისწინებული.

გვემას აქ არავინ არა სჯერდება: მევენახეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი ზურაბ ზურაბაშვილი

21 ჰექტარ ვენახის ყოველ ჰექტარზე მიიღებს გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად 65 ცენტნერზე მეტს, ხოლო ამავე ბრიგადის მერგოლური სიკო ქანდაურავილი რგოლზე მიმაგრებული 4,1 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 75-80 ცენტნერ ყურძენს დაჰკრეფს.

ყვარლის მინდვრებზე წელს ძალზე უხვი მოსავალია, შარშანდელთან შედარებით კი ერთიორად მეტ კორბალს იღებენ... ამასთან შარშან ხორბალი მარტო 625 ჰექტარზე ეთესათ, წელს კი 900 ჰექტარი მარტო ყანაა, ისეთი ყანა, რომელშიაც მაღალი კაცის იმალება!

წელს სიმდიდრით კვლავ აივსება ყვარლელთა ბელლები: ექვს კილოზე მეტს მარტო ხორბალს გაანაწილებს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

კედელივით დგას ყვარლის მინდვრებზე ოქროსფერი ლაგოდებური გრძელთავთაყა. ხანდახან დაღისტნის მთების ნიაგი წამოუქროლებს, შეაშრილებს, ტალღასავით გადაუფლის, გაჰყვება ქვევით, ალაზნისაკენ, გადაფრინდება ალაზანზე და თელავის მინდორში ეღვა-ღებეშაზე ადრე ჩაიტანს აქაურ ამბავს: „ყვარელზე ჩამოვიარე, ნანატრი მოსავალი მოუყვანიათ, თქვენ რას შვრებით, ეცადეთ არ გაჯობონო“.

მზემ როგორც კი ერთი შუბის ტარზე ამოიწია და ნამი შეაშრო, გრძელთავთაყას ყანის კედელს ანტონ ქელესსაშვილის კომბაინი მიადგა, გადათელა გზის პირად ამოსული თავყვითელა, თეთრწამწამებიანი გვირილა და მწვანე ხალიჩასავით გაშლილი მრავალძარღვა. მისაბმელი ძრავი ჯერ ისევ ხნულის გარეთ იყო, როცა ხედერის თამასები მკლავებივით შემოეხვივნენ ყანას წელზე და დანებზე მიაწვინეს... კომბაინის ბაქანზე ვდგავარ, გაცქერი ამ ზღვასავით ყანას — უეცრად მოვიხედე და დაინახე როგორ წყაროსავით წამოვიდა ბუნკერში ოქროსფერი ხორბალი.

მძლავრმა აგრეგატმა მალე შემოუარა ვეება ფართობს, და ისევ თავიდან დაიწყო. კომბაინის ბუბუნს ხმას აძლევს ბურსას და ღურუჯის შფოთიანი

ხმაური — თითქოს მთების ამბავი ჩამოაქვთ ბარში, იქაური ზვავების, მენისტების და გრიგალების მჭექარებას ჰვენენ ამ მიდამოებს.

ჩვენმა დრომ მრავალ ლეგენდას გაუსწრო წინ და ეს კომბაინიც ერთი მისი სასწაულია. რა მგზნებარე ფანტაზიის ადამიანიც უნდა ყოფილიყო, — გაუძნელდებოდა იმის წარმოდგენა, რომ კაცს შეიძლება და რკინა ისე აეწყო, რომ მას დღეში 350 კაცის საქმე გაეკეთებინა... ეს მართლაც რაღაც ზღაპრული გოლიათია, რომელსაც ხელში ასობით ნამგალი უჭირავს და ამავე დროს დაახლოებით იმ ასი კაცის საქმესაც აკეთებს, რომელსაც მომკილი ძნა უნდა გაელეწნა.

ეს მართლაც ზღაპრულია და ამავე დროს სინამდვილეს.

ყვარელში, სოფლის განაპირას, კოლმეურნის სახლში ვსხედვართ; ეზოში ალუბალი დამწიფებულა, სისხლისფრად ბზინავს მზეზე. შორს ალბიური ველები ჩანს, იმის მაღლა თოვლიანი მწვერვალებია...

მასპინძელმა ჯერ ალუბალზე შეგვიბატყა, მერე სუფრაზე ყვარლის სახელგანთქმული ქინძმარაული ჩამოდგა.

სიტყვა სიტყვას მოჰყვა და იმ სოფლის ყანები ვაქეთ, მერე ვკითხე:

— ეს მითხარი, ასეთი კარგი ყანები როგორ მოიყვანეთ...

თითქოს ეს შეკითხვა არ გაუგიაო, მასპინძელმა რაღაც იგავისებური ამბავი დაიწყო:

— ეგ ძალიან გრძელი ამბავია და მე მოკლედ გეტყვით: თურმე ერთ ცხენოსანს ხმალი გამრუდებოდა, რაღაც უხერხოდ ეხმარნა და გაღუნულიყო ის ტიალი... გზად ყვარელზედ გამოველო. აგერ სოფლის ბოლოს მჭედელი იყო, იმასთან მიეტანა: ოღონდ გასწორე და რასაც მოხვ — მოცემო. ეს მჭედელი განთქმული ოსტატი იყო, ჯერ ფასზე მოურიგდა. ხუთ მანეთზე შეთანხმდნენ... გამოართვა მჭედელმა

ხმალი, არც კი დახედა ზედ, დააგლო იქვე მიწაზე, შიშველი ფეხის გული დაარტყა, გაასწორა მერე აიღო და მიაწოდა პატრონს. მგზავრი გაოცებისაგან აღარ იყო: ეს რა ადვილი რამ შეუძლებელია! ტერნო ტერნს დაკვრაში ხუთ მანეთს როგორ მოგცემო, თუ გინდა აბაზს დამჯერიდი, თუ არა და — უბედ-მეტყიანო, თან ხმალი შეათამაშა ხელში — ვითომ ხომ ჰხედავო... მჭედელმა პირობის შემლა ძალიან იწყინა, წაართვა ცხენოსანს ის ხმალი, ისევ გაულუნა და მერე მიაწოდა: შენ შენთვის, მე ჩემთვისაო. ხმლის პატრონი წამოვიდა, გამოსცილდა თუ არა მჭედლის ეზოს, ორღობშივე გაიხადა ფეხზე, დაღო ხმალი მიწაზე და ფეხის გული დაარტყა — წყაროსავით ითქრიალა სისხლმა, დაჭრილი ნადირივით დაიღრიალა ხმლის პატრონმა და გულშეწუნებული მიწაზე დაეცა. ხმაურობაზე მჭედელმა გამოიხედა, დაინახა, რომ კაცი სისხლისაგან იცლებდა, ბავშვივით ხელში აიყვანა. სახლში შეიყვანა, შეუხვია ჭრილობა და მგზავრი გონზე რომ მოვიდა, პირველი იმისი სიტყვა ეს იყო:

— ვაგლახს რა ვიცოდი, რომ ოსტატი კაცისა მარტო ხელი და თვალი კი არა, ფეხიც ოსტატი ყოფილაო! მივუხვდი ამ ქარავმის აზრს, მაგრამ მაინც ვკითხე: — ეგ არის შენი პასუხი?

— ეგ არის, ხოლო თუ დაწვრილებით გინდა ჩვენი საიდუმლოება გაიგო, აგერ, — მან თაროზე თითოთ გვიჩვენა: იქ დიდძალი წიგნები იყო ჩამწკრივებული. დავათვალიერე მასპინძლის ბიბლიოთეკა, სხვა მრავალთა შორის აქ იყო ერთი მომცრო წიგნაკი ასეთი სათაურით: „საშემოდგომო ხორბლისა და სიმინდის მაღალი მოსავლისათვის“, სახელგამო, თბილისი, 1949 წ.

ამ წიგნის ავტორი — ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.


და მე უცებ გავიფიქრე, რომ ამ წიგნის ავტორიც იმ მჭედელს ჰგავს, რომელმაც მიამიტ მგზავრს ძლივს გააგებინა, რომ რასაც ოსტატის თვალი დახედავს, სადაც მისი ფეხი გაივლის და რასაც მისი ხელი შეეხება — იქ ყველაფერი აყვავდება და ბარაქით აივსება.

გორის რაიონის სოფ. ხურვალეთის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში.
ხორბლის მოსავლის აღება. ფოტო ვლ. გ.—ლისა



ქართველი მეფარეხებთან

აკაკი ბალიაშვილი



ზემოდან—მარცხნიდან მარჯვნივ: ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო ლაბორატორია: რუსთავის პარკი; ახალი სახლი რუსთავის მთავარ პროსპექტზე; რუსთავის ერთ-ერთი ბაგის ბავშვები სეირნობენ.

წავიდა, შორეულ წარსულში ჩაიკარგა ხსენება იმ სახელოვანი ქართველი ოსტატებისა, რომელთაც მსოფლიოს პირველად გააცნეს ფოლადის დამზადების საიდუმლოება. ჩაქრნენ მათი ქურები, წვიმამ და ქარმა, თოვლმა და ყინულმა დააქცია, აღგავა მიწის პირისაგან მათი სახელოსნოები. აღარავინ იცის, სად მზადდებოდა ჩვენში ფოლადი, აღარავინ ახსოვს არც მადნის უძველესი სახადოები, არც ძველბურთი სადნობი ღუმელები, არც წინაპარ ოსტატთა სახელები. მტრის დაუნდობელმა მახვილმა, საუკუნეების ქართა ქროლვამ დააქცია და განადგურა ყოველივე ეს.

მაგრამ დადგა ჩვენი ქვეყნის აღორძინების უდიდესი ხანა და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ბოსტან-ქალაქი ანუ რუსთავი იყო, სადაც ვინ იცის, იქნებ იჭედებოდა ფოლადზე უმტკიცესი და მუდგერი სტრუქტურები „ვეფხისტყაოსნისა“, მშით გადაწყვეტილ და ქარებით გადახვეტილ ველებზე აღიმართა უდიდესი გიგანტი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა—რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

აქ მოვიდნენ პირველი ქართველი მეფოლადენი, პირველი ქართველი ოსტატები, რომლებმაც შეისწავლეს თავიანთ წინაპართა მივიწყებული ხელოვნება.

ჯერ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, საშუალო სკოლის მოსწავლენი: გაიზო ბერძნისვილი სოფელ თორტივიდან, ილია ლაზარიაშვილი სოფელ ბოლბიდან, ზუგდიდელი გიორგი სიგუა და კიდევ მრავალი სხვა, რომელთაც დატოვეს თავისი სოფლები და გაემართნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, რათა დაუფლებოდნენ ფოლადის წრთობის საიდუმლოებას. არც ერთი მათგანი შეიძლება არც გრძნობდა და არც განიცდიდა იმას, რომ ბედმა მათ შესანიშნავი მომავალი განუკუთვნა, რომ მათი სახელები თავიდანვე უკვდავყო, როგორც საბჭოთა ეპოქაში, ქართულ მიწაზე, ფოლადის დნობის აღორძინების პირველი ოსტატებისა და მეფოლადეებისა.

ამ ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ბრწყინვალედ ამართლებენ ამ საპატიო წოდებას, კარგად დაეუფლნენ მაღალი ხარისხის ფოლადის დნობის საიდუმლოებას.

* * *

მთელ საქართველოში ცნობილია სოფელი თორტივა. შრომადღებზე მარცვლელის განაწილების მხრივ ამ სოფლის კოლმეურნეობას პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს რესპუბლიკაში. ამ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს სამსონ ბერძნისვილი, ხოლო მისი ძმისწული გაიოზ რუსთავის ფოლადს ადუღებს და იმ და-

ფაზე, სადაც „გეგმების“ შესრულებას აღწინავეს, ბერძნისვილის ბრიგადის უჯრაში ჩაწერილია 313 %.

ეს თვალტანადი ახალგაზრდა, ქუდის წინაფრაზე მუქი სათვალე რომ დაუმარგებია, გაღიმებული დგას ავარჯირებული ელექტროლუმების წინ და რკინის კოვზით ამ საოცარი ქვაბიდან რძის ფაფასავით აქაფავებულ ლითონის სინჯს იღებს და თუჯის ფილებით მოფენილ იატაკზე ასხამს. მზესავით ელვარე დამდნარი ფოლადი წყალივით იღვრება იატაკზე და სადღესასწაულო შუშუნასავით ნაპერწყლების შადრევანს აფრქვევს.

ამ ღუმელში ლითონი ელექტროდენით დნება. გიგანტურ ჭურჭელში, რომელიც გარეგნობით საარაყე ქვაბს გვაგონებს, ჩადგმულია ტელერაფის ბოძების სიმსხონანხორის ანუ კოქსის სამი ელექტროდი. ძლიერი ძაბვის დენი ქმნის ეგრეთ წოდებულ ვოლტას რკალს და წარმოიშობა ისეთი მაღალი ტემპერატურა, რომელიც რძესავით აქაფავებს ფოლადს.

ეს ერთი ქვაბი მთლიანად დაიტევდა მთელ იმ ფოლადს, რაც ძველ საქართველოში ერთი წლის განმავლობაში დამზადებოდა, მაგრამ რუსთავის ქარხნის მარტენის ღუმელებთან შედარებით ეს ქვაბი ნამდვილი სათითურია. მასში მხოლოდ სამი ტონა ლითონი დნება, მარტენის თითოეულ ღუმელში კი ას ოც ტონაზე მეტი. მარტენის სამქრო ცოტა მოშორებით დგას და რკინიგვის ტოტი პირდაპირ შედის ღუმელებთან, ორთქლმავალს მიჰყავს ჯართით დატვირთული მატარებელი და საგანგებო მანქანები რკინისვე ძარბს მექანიკურად ცლიან ხახადაღებულ ღუმელში.

ცას სწვდება მარტენის სამქროს ჭერი და ფოლადით ნაგები გიგანტური შენობა

თავისი უზარმაზარი მოძრავი ამწე-მეწინავე უმსხოსი ჯაჭვებით და კაცის ოდენა კავებით, ლითონის გადასხმელი ზღაპრული სიდიდის ქვაბებით და იმოდენა ღუმელებით, რომ თითო მათგანში თავისუფლად ჩაიდგებოდა იმერული ოდა (მგონია, ორიც). მძლავრად გუგუნებს სამაქრო, და ეს გუგუნი მართლა შეეფერება მის სიდიდეს, გუგუნებს და მწკრივად ჩარაზმული ღუმელებიდან ცეცხლის ენებს ასავსავებს. ხანდახან რომელიმე ღუმელი უცბად დააფრენს ხახს, რომ გიგანტური კოვზით მოწოდებული ფოლადის შეჭამადი ჩაყლაპოს და მაშინ ისე იღმუღლებს, რომ ბურთებად ატრიალებულ ცეცხლის ალში ახვევს რკინიგვის ვაგონებს და ჯართის მოწოდებულ უზარმაზარ მანქანას.


აი ერთ-ერთ ამ ღუმელთან მუშაობს ბოლბელი ილია ლაზარიაშვილი, ბეკებ-განიერი ჯმუხი ვაჟკაცი. იგი იმ ფოლადიდან ჩამოსხმულს ჰგავს, რომელსაც თვითონ ადუღებს. ხან დინჯად ჩასცქერის ღუმელს ცეცხლიან თვალში, ხან გაფაციცებით ხელმძღვანელობს მარტენების დატვირთვის ნედლეულით, ხან კიდევ თავისი ბრიგადის წევრებთან ერთად ნიჩბებით აყრის ცეცხლიან ხახში ვარჯარა ქურას საგანგებოდ დამზადებულ ქვიშას.

ძველი ბოლბეცა და ბოსტან-ქალაქი რუსთავიც ბერქაყაენს დაუქცევია მაგრამ გარეშე მტრების შემოსევებისაგან არაერთგვის აკლებული და დანგრეული სამშობლო არნახულად აღორძინა გმირმა ქართველმა ხალხმა. სტალინურმა ეპოქამ მისცა განთავისუფლებულ ქართველ ადამიანს გაუგონარ გამარჯვებათა უძლეველი ძალა და აი ახლა „ბროლიასა

გმირი ბოლბელის შთამომავალი კოლმეურნე ბოლბელი ლაზარიაშვილი მოსულა მკვდრეთით აღმდგარ რუსთავში, საქართველოს ახალ გიგანტურ სარკინეთში, როგორც საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი შრომის მეწინავე. იგი ახალი საქართველოს მეტალურგიის პირველ უმაღლეს ხარისხის ფოლადს ადუღებს.

თბილისი (მარცხნიდან მარჯვნივ): მეტენის ახალი ხიდი; ახალი საცხოვრებელი სახლი მელიქიშვილის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩოფიაშვილისა



ხ ი დ ი

სიტყვა თქმული ბუდაბეშტში

გიორგი ლომიძე

მადიარებო, დღეს დუნაიზე
თითქოს ჩიტისგან ზიკპიკით ითქვა:
„ხიდი“ კართულად

და „ხიდ“ უნდაგულად,—
თურქმა, სავითო გვკონია სიტყვა!

მესიამოვნა ქოჩა სიტყვათა,
მეც ხომ სამოდ ვარ თქვენთან მოსული,
რა ზვირჩხვინა ერთობის სიტკბოს,
ვიყვნეთ ერთობით გარემოცული!

მადიარებო, მამ რას გავაღმებს
ცეცხლი, რომელიც გულს ანთებულა,
როცა ქოჩისთვის, მებრკობისთვის
თვით სიტყვებიც კი უმეტებულან!

გულს მოვლავებულს გული გაენდოს!
გულთა სიტყვები ჩვენ გვაქვს მრავალი.
ის მაფრთოვანებს, რომ ჩვენ სავითო
წინ გვიღებს ხიდი და გზა სავალი!


მე ბუდაბეშტის ხიდები მნახე,
რა დიდებული სანახავადა,
ერთხელ მტრისაგან ნაღმიცემული
შვიდივე ხიდი ცაში ავარდა!..

არა, სხვა ხიდი გულს მიმღელვარებს,
არ უნდა ფიქრი გამოცნობისა,—
ხიდი, რომელიც გასდო სტალინმა,
დიადი ხიდი ხალხთა ქოჩისა —

ხიდი, რომელიც ჩვენს გულთა შორის
გადებულა ვით ცისარტყელა,
განათებული, გაჩაღებული,
გააფთრებულ მტერს რომ აქვს საწყევლად!

ხიდი სტალინის მიერ ხელთქმნილი,
სიყვარულის და ერთობის ხიდი!
მას ვერა მტერი ვერ ააფთქებს,
და ვერ უმეხრავს თვით წარღვნა დიდი!

მას ყველგან ერთი სახელი ჰქვიათ,
ასე წარმოთქვამს შეთამარავალიც,—
სოციალიზმის ურყევი ხიდი,
კომუნისტების წინ გზა სავალი!



თბილისი. შოთა რუსთაველის ძეგლი. ფოტო კ. კრისტესიანი.



ი. ბ. სტალინის შრომათა ენათმეცნიერების საკითხებზე



პ რ ო ფ ე ს ო რ ი ა რ ნ ო ლ რ ი ა ო ბ ა ა

1950 წლის 20 ივნისს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა: „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“. ამ შრომის გამოსვლის წლისთავი, როგორც დიდმნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, აღნიშნა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

ამ შრომამ უდიდესი გარდატეხა გამოიწვია, მან ძირფესვიანად შეცვალა ენათმეცნიერებაში არსებული ვითარება. ამ შრომამ ცხადი გახადა, რომ არაა მეცნიერულად გამართლებული, მარქსიზმის თვალსაზრისით მისაღები აკად. ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“, რომელსაც თავი მოჰქონდა — ერთადერთ მარქსისტულ-ლენინურ რევოლუციურ, დიალექტიკურ თეორიად და გასაქანს არ აღეგნა, ახშობდა ყველაფერს, რაც მას არ ეთანხმებოდა საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ამ შრომამ ბოლო მოუღო არაკრედიტის რეჟიმს, რომელიც ნ. მარის მიმდევრებმა დაამყარეს და რომლის მეშვეობითაც ცდილობდნენ საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის თავს მოეხეიათ მეცნიერულად უსაფუძვლო, ანტიმარქსისტული „ახალი მოძღვრება“, როგორც ერთადერთი მარქსისტული თეორია.

ამ შრომამ გამოიყვანა საბჭოთა ენათმეცნიერება კრიზისიდან, რომელიც აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრების“ ბატონობამ შექმნა.

ამ შრომამ დასაბამა ენათმეცნიერული აზრის თავისუფალი განვითარებისა და ძლიერი აღმავლობის დიდი პროგრამა.

ამხანაგ სტალინის ამ შრომამ ცხადყო არა მარტო ის, თუ რა არ არის მარქსისტული, მან გვიჩვენა — როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტად მეცნიერული მარქსისტული ენათმეცნიერება, მან დაგვანახა, რომ მარქსიზმთან საერთო არა აქვს რაიმე ზერელე სქემატიზმსა და მყვირალა შემარცხენე ფრაზების კორიანტელს, რომელიც შესასწავლ ფაქტების ჩვენებას ანგარიშს არ უწყებს და ხელაღებით გაიძახის: ენათმეცნიერება ჩემით იწყება; აქამდე ენათმეცნიერები კი იყვნენ, მაგრამ ენათმეცნიერება არ არსებობდა.

ამხანაგმა სტალინმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ მარქსიზმი ფაქტების დამახინჯებას არ ითმენს. მარქსიზმი ფაქტების სწორად დანახვას და ღრმად გაგებას მოითხოვს. სწორად გაგებული სინამდვილე მასზე შემოქმედების, მისი სათანადოდ გამოყენების წინაპირობაა.

მარქსისტული ფილოსოფია ერთადერთი ფილოსოფიაა, რომელიც მეცნიერებათა ნამდვილ მიღწევებს ემყარება, რომლისთვისაც უცხოა დოგმატიზმი, რომელიც — განსხვავებით იდეალისტური ფილოსოფიისაგან — არასოდეს არ უბრუნობს მეცნიერებას, არამედ ქმნის მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველს. იგი მეცნიერებათა მეცნიერებაა.

ამხანაგმა სტალინმა თავის შრომაში „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ მოგვცა კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს შემოქმედებითი მარქსიზმის თვალსაზრისით ენათმეცნიერების ფუძემდებელი პრინციპული საკითხების დასაბამი და გადაწყვეტა.

თავის შრომაში ი. ბ. სტალინმა განიხილა ენათმეცნიერების საკვანძო თეორიული საკითხები და მოგვცა მათი ღრმა მეცნიერული, მართალი მარქსისტული გაშუქება. ამხანაგმა სტალინმა ამით საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა ენათმეცნიერებას.

ენათმეცნიერების ისტორიამ არ იცის სხვა შრომა, რომელსაც ასეთი ცვლილება გამოეწვიოს არსებულ ვითარებაში, რომელიც მართალი მეცნიერული აზრის განვითარების ინტერესებს ასე უზრუნველყოფდა.

ენათმეცნიერების ისტორიაში ვერ დავასახელებთ სხვა შრომას, რომელსაც აღამიანთა მილიონების ყურადღების ცენტრში დაყენებინოს ენის რაობის ძირითადი თეორიული საკითხები, ეჩვენებინოს, რა მნიშვნელობა აქვს იმ განძს, რომელსაც ენა იწოდება და რომელსაც ყოველი ადამიანი მოიხმარს.

ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის სხენებულ შრომას მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისათვის, ლიტერატურისმცოდნეობისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, არქეოლოგიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებისათვის.

ჩვენ აქ მხოლოდ ენათმეცნიერების თვალსაზრისით ვეხებით ამ შრომის საერთო მნიშვნელობას.

* * *

ი. ბ. სტალინის შრომა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ გამოქვეყნდა დისკუსიასთან დაკავშირებით, რომელიც გაზ. „პრავდა“ მოაწყო. დისკუსიის მიზანი იყო გამოეწვიებინა ენათმეცნიერებაში არსებული მდგომარეობა, დაძლეული ყოფილიყო შეფერხება, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა და სწორი მიმართულება მისცემოდა ამ დარგში მეცნიერულ მუშაობას.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა სპეციალისტმა. დისკუსიის ყველა მონაწილე იმ აზრისა იყო, რომ საბჭოთა ენათმეცნიერება მარქსისტული უნდა იყოს, იგი მარქსიზმის საფუძველზე უნდა ვითარდებოდეს.

რას ნიშნავს მარქსისტული ენათმეცნიერება? როგორი უნდა იყოს მისი ძირითადი დებულებები? რა მიმართებაში უნდა იყოს იგი ახლა არსებულ საენათმეცნიერო თეორიებთან? — ასეთი კითხვები ბუნებრივად დგებოდა.

ამ კითხვებზე არსებითად განსხვავებულ პასუხს იძლეოდნენ. ერთნი ამტკიცებდნენ: მარქსისტული ენათმეცნიერება უკვე გვაქვს, ეს არის აკად. ნ. მარის ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება. მას ესაჭიროება ერთგვარი შესწორება; მთავარია ის განვითაროთ და დავნერგოთ. აკად. ნ. მარის ახალ საენათმეცნიერო მოძღვრების გარეშე საბჭოთა ენათმეცნიერება, მარქსისტული ენათმეცნიერება ვერ შეიქმნება: „მარის გარეშე ჭეშმარიტი მარქსისტული ენათმეცნიერების აგება მე მიმაჩნია ჩვენთვის მიუღებლად“ — წერდა აკად. ი. მეშჩანინოვი („პრავდა“, 16-V—1950).

ამავე თვალსაზრისს იცავდნენ პროფ. პ. ფილინი, პროფ. ს. ჩემოდანოვი და ნ. მარის სხვა მიმდევრები ცენტრში და პერიფერიაზე. მათი აზრით, ვინც ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ არ იზიარებდა, ის ბურჟუაზიული ენათმეცნიერების ბოზიციებზე იდგა, საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის მიუღებელი მტრული თვალსაზრისის დამცველი იყო.

ნ. მარის მიმდევრების აზრით, შეფერხებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ნ. მარის თეორიის მოწინააღმდეგეებს: ისინი არ ცნობდნენ „ახალ საენათმეცნიერო თეორიას“ მარქსისტულ თეორიად, ხელს უშლიდნენ ამ თეორიის საბოლოოდ გაბატონებას.

მაშასადამე, ასკენდნენ ნ. მარის მიმდევრები: უნდა ჩავახშოთ ყოველგვარი კრიტიკული დამოკიდებულება ნ. მარის თეორიის მიმართ, უნდა დავნერგოთ ნ. მარის თეორია, როგორც ერთადერთი მარქსისტული თეორია, გავავითაროთ ის — ამაშია გამოსავალი, ამ გზით განვითარდება საბჭოთა ენათმეცნიერება.

მეორე მხარე ამტკიცებდა: მარქსისტული ენათმეცნიერება უნდა დამყარდეს მარქსიზმის პრინციპებს და მარქსიზმის კლასიკოსთა დებულებებს ენისა და ენათმეცნიერების საკითხებზე. ამის მიხედვით უნდა გაშუქდეს კონკრეტული საენათმეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები. აკად. ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ არ შეიძლება მივიჩნიოთ მარქსისტულ ენათმეცნიერულ თეორიად. მისი სპეციალური საენათმეცნიერო კვლევა-ძიების მეთოდი (ოთხეულმეტროვანი ანალიზი) არაა მეცნიერული. თეორიულ განზოგადებათა უმეტესობა უსაფუძვლოა ანდა სადაო. აკად. ნ. მარის მოძღვრებიდან საბჭოთა ენათმეცნიერება უნდა მიიღოს მხოლოდ ის, რაც მარქსიზმის პრინციპებს ეგუება (ასეთ მისაღებ დებულებად ნ. მარის თეორიაში ენის ზედნაშენობა მიჩნდათ).

როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, აქაც მოიპოვებოდნენ საშუალო ხაზის დამცველები. ისინი არსებითად ნ. მარის თეორიას იცავდნენ, ოღონდ უფრო კრიტიკულად ეკიდებოდნენ ვინც ნ. მარის მიმდევრები.

ამგვარად: დავის საგანი იყო — როგორ უნდა შეიქმნას საბჭოთა ენათმეცნიერება, მარქსისტული ენათმეცნიერება და რა დებულებები უნდა იყოს მისთვის დასაყრდენი?

სწორედ ამ ძირითად საკითხებზე გასცა პასუხი ამხანაგმა სტალინმა.

ი. ბ. სტალინმა გაარკვია საკითხი, რაც დავის საგანს შეადგენდა: რას გულისხმობს მარქსისტული ენათმეცნიერება.

გამოირკვა, რომ აკად. ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ არ არის მარქსისტული თეორია.

მეცნიერულად მცდარია და მარქსიზმისათვის მიუღებელია ნ. მარის თეორიის დებულებები, სპეციფიკურ მარქსისტულ დებულებებად რომ მიაჩნდათ ნ. მარსა და მის მიმდევრებს, მცდარია და მიუღებელი ნ. მარის დებულებები; რომ ენა ზედნაშენია და მისი ყოველი ფაქტი საზოგადოებრივ ურთიერთობას ასახავს; რომ ყოველი ენა კლასობრივია; რომ ენა საფეხურებრივ (სტადიურად) ვითარდება აფეთქებათა გულის; რომ ენის განვითარების მთავარ პროცესს შევჯერება ქმნის...

არამეცნიერულია, მართლაც რომ იდეალისტურია, დებულება, თითქოს ყველა ენა ოთხი ელემენტისაგან (თავდაპირველი „სიტყვისაგან“) შეიქმნა.

მცდარია „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“, როცა იგი უარყოფს ენათმეცნიერების ფარმოშობის მიხედვით. არაა გამართლებული, როცა იგი უარყოფს შედარებით-ისტორიულ მეთოდს.

აკად. ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ მარქსიზმი კი არაა, არამედ მარქსიზმის გაუბრალოება და ვულგარიზაციაა.

„ახალი საენათმეცნიერო თეორია“ მეცნიერულ სიმართლეს კი არ ემყარებოდა, არამედ არაკრედიტის რეჟიმს, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ნ. მარის შეცდომათა კრიტიკას, დევნიდა და ახშობდა კრიტიკის თავისუფლებას.

საბჭოთა ენათმეცნიერების შეფერხება ნ. მარის თეორიის გაბატონებამ და არაკრედიტის რეჟიმმა გამოიწვია.

გამოირკვა, რომ ნ. მარის თეორიის მოწინააღმდეგეები ვერ ხედავდნენ ამ თეორიის ყველა ნაკლს: ენის მიჩნევა ზედნაშენად; ნ. მარს რომ დამსახურებდა უთვლიდნენ, დამსახურება კი არა, შეცდომა აღმოჩნდა.

გამოსავალი? ენათმეცნიერებაში არაკრედიტის რეჟიმის ლიკვიდაცია, ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა — ასეთია ჩემი აზრით ის გზა, რომლითაც შეიძლება გავაჯანსაღოთ საბჭოთა ენათმეცნიერება — დასკვნა ი. ბ. სტალინმა („მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, 1951, გვ. 32).

თავის მეორე შრომაში „ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს:

„საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარისა და მისი „მოწაფეების“ მიერ გამოგონილი „ფორმალნიზმი“, არამედ არაკრედიტის



სოფლის მეურნეობის განვითარება

რეჟიმი და თეორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაკრევის რეჟიმი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფეებმა“. ენათმეცნიერებაში თეორიული არეგდარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა ლეკვიდრულ ბულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე“ (იქვე, გვ. 40).

ამრიგად, ი. ბ. სტალინიმა გამოავლინა კრიზისის მიზეზი, ბოლო მოუღო არაკრევის რეჟიმს, მით გამოიყვანა საბჭოთა ენათმეცნიერება კრიზისიდან და დაუსახა მიზანი, აღჭურვა იგი განახლების დიდი პროგრამით.

მაგრამ ეს როდია ყველაფერი. ამ შრომაში ი. ბ. სტალინიმა ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა ენათმეცნიერების ძირითად თეორიულ საკითხებს და მოგვცა მათი კლასიკური მარქსისტული გადაწყვეტა. ი. ბ. სტალინიმა საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა, მარქსისტულ ენათმეცნიერებას.

სახელდობრ:
ი. ბ. სტალინიმა ნათელი მოძვინა ენის საზოგადოებრივ რაობას. ენის რაობის სტალინური მოძღვრება ენის ფუნქციიდან ამოდის: ენა ურთიერთობის იარაღია, აზრთა გაცვლისა და ურთიერთგაგებინების საშუალებაა. ამდენად ენა ადამიანთა კოლექტივის გულისხმობს, ენა საზოგადოებრივი მოვლენაა. გასაგებია, რომ „ენა საზოგადოებრივი გარეშე არ არსებობს“. მაგრამ ენის საზოგადოებრივი ბუნება ამით არ ამოიწურება. ენა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, აუცილებელ პირობას შეადგენს საზოგადოებრივი წარმოებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის: ენის გარეშე საზოგადოება წარმოუდგენელია.

ამრიგად, ენის რაობის სტალინური გაგება მთელი სისრულით ითვალისწინებს როგორც ენის დამოკიდებულებას საზოგადოებაზე, ისე ენის აუცილებლობას, ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.

ენის რაობის ასეთ გაგებასთან შინაგან კავშირშია ი. ბ. სტალინის დებულებები: ენა არ არის ზედნაშენი ბაზისზე, ენა არ არის კლასობრივი მოვლენა. ენა ისეთი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც საზოგადოების არსებობის მთელ სიგრძეზე მოქმედებს, რომელიც ამა თუ იმ ბაზისთან ერთად არ ისპობა, რომელიც შექმნილია საზოგადოების ისტორიის მთელი მსვლელობით, ასეული თაობის ძალისხმევით. ცხადია, რომ ასეთი საზოგადოებრივი მოვლენა ამა თუ იმ ეკონომიურ წყობილების პროდუქტს არ წარმოადგენს. ენა საზოგადოებისათვის შეუდარებლად მეტია, ვინემ ესა თუ ის ბაზისი ანდა ამ ბაზისით შექმნილი მოვლენა.

ენა მთელ საზოგადოებას ემსახურება, საერთო სახალხო კულტურას წარმოადგენს და ამიტომ ამა თუ იმ კლასის შექმნილად მას ვერ მივიჩნევთ: ეს იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისათვის ანგარიშის არგაწევა.

ვულგარულ-მატერიალისტური სქემატიზმი ენის რაობის მარქსისტული გაგებისათვის აუცილებელ ნიშან-თვისებად თვლიდა ენის ზედნაშენურობასა და კლასობრიობას. მართალი მარქსისტული გაგება გამორიცხავს ენის ზედნაშენურობასაც და კლასობრიობასაც. ამას გვასწავლის ი. ბ. სტალინი.

ენის მნიშვნელობას სოციალისტური ერის, მისი კულტურის განვითარებისათვის განაზღვრავს ი. ბ. სტალინის ფორმულა: „ნაციონალური ენა არის ფორმა ნაციონალური კულტურისა“.

ენის ამ მნიშვნელობის დასაბუთებას ეპოულობთ ჯერ კიდევ შრომაში: „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“.

ენის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ი. ბ. სტალინის კლასიკური განსაზღვრება ერისა (1913 წ.).

შრომა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ ლოგიკურად ავითარებს იმას, რაც ამხანაგ სტალინის წინანდელ შრომებშია წარმოდგენილი.

ამ ახალ შრომაში მოცემული ენის საზოგადოებრივი ბუნების გაგება ამდიდრებს მარქსიზმის თეორიას.

ენის რაობაზე რომ ვლაპარაკობდით, იგულისხმებოდა ენა, საერთოდ. ი. ბ. სტალინის ხსენებულ შრომაში გარკვეულია ისიც, თუ რა არის არსებითი, კონკრეტული, ცალკე ენისათვის, რა განსაზღვრავს მის სპეციფიკას.

ი. ბ. სტალინის ფორმულა: გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ქმნის ენის საფუძვლს—წარმოადგენს შესანიშნავ განზოგადებას კონკრეტულ ენათა მეცნიერული შესწავლისა.

ამ ფორმულას დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების კვლევისას, როგორც ენისა და დიალექტის ურთიერთობა, ერთი ენის მეორესთან შედარება, ენის ისტორიული ცვლა და მისი შედეგები.

ეს ფორმულა განსაზღვრავს გრამატიკის, როგორც ენის გრამატიკული წყობის შემსწავლელი დარგის მნიშვნელობას. ეს ფორმულა იძლევა ენათა აღწერითი გრამატიკის (მორფოლოგიისა და სინტაქსის) მეთოდოლოგიის ძირითადი საკითხების ამოხსნას.

ი. ბ. სტალინის ხსენებულ შრომაში გადაწყვეტილია ენის განვითარების პრობლემის რიგი ძირითადი საკითხი: რა ქმნის ენის განვითარების საფუძველს, რა ბუნებისაა ენის განვითარება, რა კანონზომიერება ახასიათებს ენის განვითარებას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (ანტაგონისტური კლასების არსებობის პირობებში, უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში...), რა თავისებურებები ახასიათებს ენის სხვადასხვა მხარის განვითარების ტემპებს და ა. შ.

ამხანაგ სტალინიმა საბჭოთა ენათმეცნიერებს ძირითად ამოცანად დაუსახა მარქსიზმის დანერგვა ენათმეცნიერებაში.

ამასთან ი. ბ. სტალინიმა თვითონ მოგვცა კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რას ნიშნავს მარქსიზმის დანერგვა, თუ რა მეცნიერულ პასუხისმგებლობას გულისხმობს ენათმეცნიერთა წინაშე დასმული ამოცანა, თუ როგორ განსხვავებულია შემოქმედებითი მარქსიზმი ენათმეცნიერებაში ნ. მარის თეორიის „მეზარცენე“ ფრაზეოლოგიისაგან, რომელიც მეცნიერულ უსაფუძვლობის დაფარვას ცდილობდა „მეზარცენე“ ფრაზებით.



სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. მ. ს. დალაქიშვილი საცდელ ნაკვეთზე. ფოტო მ. კვირიკაშვილისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდერობის ინსტიტუტის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მიხეილ სიმონის-ძე დალაქიშვილი ჯერ კიდევ 1942 წელს შეუდგა მუშაობას ბოლშევიკური პარტიის მიერ დასახული რთული და პასუხსაგები ამოცანის გადასაჭრელად—მან დაიწყო ცდების ჩატარება დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ხორბლის კულტურის ფართოდ დანერგვისათვის. დასავლეთი საქართველო ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა ხორბლის კულტურით და მრავალი მკვლევარის აზრით ხორბლის მთელი რიგი ჯიშების წარმოშობის კერად ითვლება. მაგრამ ჟამთა მსვლელობაში ხორბლით დათესილი ფართობი შემცირებულა და მისი ადგილი სხვა კულტურებს დაუკავებია, განსაკუთრებით კი სიმინდს, რომლის ხვედრითი წილი მთელი ნათესი ფართობის 99,9% შეადგენდა. „ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ხორბლის კულტურის დანერგვის საქმე დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა დასახულიყო“, წერს ამხ. მ. ს. დალაქიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აჯამეთის მემინდერობის საცდელ-მა სადგურმა ამხ. დალაქიშვილის ხელმძღვანელობით რვა წლის განმავლობაში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამხ. დალაქიშვილი დატოტილ-თავთავიან ხორბალს. აი, როგორი სიყვარულით ლაპარაკობს იგი ამ ჯიშის შესახებ, თითქოს სულიერ არსებაზე წერდეს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხორბალი საჭიროებს ზედმიწევნით კარგ მოვლა-დამუშავებას, თორემ შეუფერებელ პირობებში ჩაყენებული დატოტილ-თავთავიანი ხორბალი შეიძლება გადაგვარდეს, მისთვის დამახასიათებელი დიდი მოსავალი ვერ მოგვცეს და ჩვენი დაუდევრობით, უყურადღებობით სახელი გაუშტებოთ.“

ამხ. მ. დალაქიშვილი ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარდაბანის მემინდერობის ინსტიტუტში ახალი ჯიშების გამოყვანისა და ხორბლის მოსავლიანობის გადიდების პრობლემებზე განაგრძობს მუშაობას.

კომუნიზმის დიდი მშენებლობანი



გეოგრაფიული გარემოს გარდაქმნა, მისი შემდგომი გეგმარით დაპირებული და სოციალისტური ქვეყნის სამსახურში ჩაყენება დიდი სტალინური ეპოქის დამახასიათებელი ნიშანდობილია. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმა, და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან, როგორც დიდი სტალინი ამბობს „ჩვენი წყობილება, საბჭოთა წყობილება, სწრაფი წინსვლის ისეთ შესაძლებლობებს ვგაძლევს, რომლებზეც ოცნებაც არ შეუძლია არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას“.

ბუნების გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში მინდორსაცავი და ქარსაფარი ტყის ზოლების გაშენება, რაც უზრუნველყოფს უხვ და მყარ მოსავალს, გააუმჯობესებს კლიმატურ პირობებს და სხვ.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გეგმის სიდიადეზე, საკმარისია ითქვას: სახელმწიფო ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყე გაშენდება 118 ათას ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ექვს მილიონ ჰექტარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1950-1965 წლებში ახალგაშენებული ტყის ფართობი გადააჭარბებს ბელგიისა და ჰოლანდიის მთელ ტერიტორიას ერთად აღებული.

ფანტასტიკური რომანების ცნობილი ავტორი, ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი 1920 წელს ეწვია რუსეთს, სწორედ მაშინ, როდესაც შემუშავებული იყო რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა („გოლრო“) დაინახა რა სამოქალაქო ომით გამოწვეული ნგრევა, უელსმა „გოლროს“ გეგმას უტოპია უწოდა, ხოლო ლენინს — „მეოცნებე კრემლიდან“.

1926 წელს დაიწყო ევროპის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — დნებრჰესის მშენებლობა. ინგლისელი და ამერიკელი „ავტორიტეტები“ ირონიით ამბობდნენ: „დნებრჰესის მსგავსი ნაგებობანი კულტურულ დასავლეთშიც კი ათეული წლების მანძილზე შენდება. მაშ ვინდა დაიჯერებს, რომ რუსი და უკრაინელი გლეხები შეძლებენ ხუთ წელიწადში ააგონ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური. ეს ზღაპარია“.

მაგრამ არ გამართლდა უცხოელთა ვარაუდი. ზღაპარი სინამდვილედ იქცა: დაწესებულ ვადაში დნებრჰესმა სამრეწველო დენი მისა ჩვენს ქვეყანას. დნებრჰესის შემდგომ საბჭოთა კავშირში მწყობრში ჩადა მრავალი დიდი ელექტროსადგური. და „ჩამორჩენილი რუსეთი“ ელექტროენერჯის გამოუმუშავებით მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. მაგრამ სტალინური ხუთწლიანი შედეგად არნახულად გაზრდილი მრეწველობისათვის ესეც არაა საკმარისი, იგი გაცილებით მეტს მოითხოვს.

კუბიშევჰესის გრანდიოზულობაზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია აღინიშნოს, რომ მის ასაგებად საჭირო იქნება 150 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოს შესრულება. ასეთი მოცულობის სამუშაოს არ იცნობს მსოფლიო. მაგალითად, ხეოფის ცნობილი პირამიდის მშენებლობის შესრულება 2,5 მილიონი კუბური მეტ-

რი მიწის სამუშაო, ხოლო ამერიკის შვერთე-ბული შტატების ყველაზე დიდი საშენობა ობიექტმა ფორ-ბეის მიწის კაშხალმა (მდინარე მისურისზე) მოითხოვა სულ 80 მილიონი კუბური მეტრი მიწის ამოღება.

ვოლგის გივანტები ენერჯის მიწველიან მოსკოვს, სამრეწველო ცენტრებს და შავინადგიანი ზოლის მსხვილ ქალაქებს. ვოლგის-გალმა მხარესა და კასპიის ზღვისპირა დაბლობში მოიწყობა დღემდე გამოუყენებელი 14 მილიონი ჰექტარი მიწა. ამ უზარმაზარი ფართობების მოწყობა კიდევ უფრო გაზრდის მიწათმოქმედების მოცულობას, შექმნის მძლავრ საკვებ ბაზას მეცხოველეობისათვის, ელექტროენერჯის ბაზაზე განხორციელდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია.

კუბიშევჰესის მშენებლობა დამთავრდება 1955 წელს, სტალინგრადჰესისა — 1956 წ. თვითუფლები მათგანი გაცილებით მძლავრი იქნება, ვიდრე ამერიკის შვერთეული შტატების უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები — გრენდ-კოული (მდინარე კოლუმბიაზე) და ბოპარნუა (ლაგრენტის მდინარეზე), ამასთანავე საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი ელექტროსადგური შენდებოდა 15 წლის, ხოლო მეორე — 16 წლის განმავლობაში.

კომუნიზმის დიდი მშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნებიან აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხი, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხები, კახოვის ჰიდროელექტროსადგური. მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგება 101 კილომეტრი სიგრძის ვოლგა-დონის არხი, რომელიც წარმოადგენს ხუთი ზღვის (ბალტიის ზღვის, თეთრი ზღვის, აზოვის ზღვის, შავი და კასპიის ზღვების) შემავრთებელ არხს. ე. ი. ახლო ხანში ჩვენი

სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგურად გადაიქცევა.

წარმატებით მიმდინარეობს ყარა-ყუმის უდაბნოს გარდაქმნა. თვით „ყარა-ყუმი“ თურქმენთა ენაზე „ბოროტ ქვიშას“ ნიშნავს. თურქმენთა ძველი ანდაზა შესანიშნავად გამოხატავს უწყლობით დატანჯული შუა აზიის ხალხების მიმე ეკონომიურ მდგომარეობას ძველათ: „მდიდრის მამულზე წყალი მიედინება, ღარიბის მამულზე კი ქვიშანი უდაბნო გადის“.

ყარა-ყუმის უდაბნოს ათვისების საკითხს წარმატებით გადასჭრის მსოფლიოში ყველაზე გრძელი — თურქმენეთის მთავარი არხი (1.100 კმ.). იგი სათავეს იღებს ტახიატაშთან, რაც „ქვის კონცხს“ ნიშნავს (ქალაქ ნუკუსთან, ყარა-კალფაკეთის ასსრ), მდინარე ამუ-დარიასზე („სამოთხის მდინარე“), შემდეგ სარიყამის ქვაბულის შემოვლით ყარა-ყუმის უდაბნოზე გავლით, უზბოის ძველი კალაბოტით იგი კასპიის ზღვისპირა ნავსადგურ კრასნოდსკამდე მივა.

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ-ტექნიკურ სიმძლავრეზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა დამთავრდება შვიდ წელიწადში — 1957 წელს, ეს მაშინ, როდესაც 81 კილომეტრი სიგრძის ბანამის არხს ამერიკა 35 წელიწადს აშენებდა, ხოლო 165 კილომეტრი სიგრძის სუეცის არხი 22 წლის განმავლობაში შენდებოდა.

როგორც ცნობილია, კასპიის ზღვასთან მდინარე ამუ-დარიას შვერთება გამოიწვევს წყლის მასის შემცირებას არალის ზღვაში, ამიტომ ამ უკანასკნელში წყლის კომპენსაციის მიზნით იწყინერმა მ. დავიდოვმა შეადგინა შემდეგი საინტერესო პროექტი: მდინარე ენისეის წყლის დიდი ნაწილი არ-

ხით გადმოყვანილი იქნება ობ-ირტიშის აუზში, მდინარე ობი დაგუბდება და შეიქმნება „დასავლეთ ციმბირის ზღვა“. აქედან წყალი მდინარე ტობოლითა და ობ-არალის არხით არალის ზღვაში შევა. ამასთანავე ამ წყლებით დამატებით მოიწვევება დაახლოებით 15 მილიონი ჰექტარი მიწა.


წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კომუნიზმის დიდი მშენებლობებისათვის. 6 — 7 წლის განმავლობაში გრანდიოზული ჰიდროტექნიკური მშენებლობანი შესაძლებლობას მოგვცემენ მოგწყაოთ და წყლით უზრუნველყოთ 28 მილიონი ჰექტარი აუთვისებული და გამოუყენებელი მიწა, ე. ი. მორწყული და წყლით უზრუნველყოფილი მიწების მთელი ფართობი გადააჭარბებს ევროპის ექვსი სახელმწიფოს — ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის, ალბანეთის, დანიისა და უნგრეთის ტერიტორიებს ერთად აღებული.

ახლად მორწყული მიწებიდან მიღებული მარტო სორბლეულის მოსავალი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს კანადის მოსავალს და ოთხჯერ მეტი იქნება, ვიდრე არგენტინის მოსავალია.

ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის დიდი მშენებლობათა დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონით უკან ჩამოიტოვებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. მარტო თურქმენეთში, სადაც უდაბნოებს მთელი რესპუბლიკის ოთხ მეხუთედზე მეტი ფართობი უჭირავს, არხის გაყვანის შემდეგ ბამბის პლანტაციათა ფართობი ერთნახევარჯერ მეტი იქნება, ვიდრე არგენტინის, მქსიკისა და ირანის ბამბის პლანტაციების ფართობია ერთად აღებული.

ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ხორციელდება ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, კომუნიზმის მშენებლობის გამორეული მატრიანის ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ფურცელია.

ყველა ხალხის საუკეთესო შვილები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის ბუნების ძალების გამოყენებაზე. ეს ამოცანა ისტორიაში პირველად პრაქტიკულად მხოლოდ დიდი საბჭოთა ხალხმა გადაწყვიტა და „მადლიერი შთამომავლობა არასოდეს არ დაივიწყებს ბრძნულ გადაწყვეტილებებს ლენინ-სტალინის პარტიისას, რომელმაც დამუშავა და ახორციელეს ბუნების გარდაქმნის გეგმა“ („პრავდა“).





ეროვნული
ბიბლიოთეკა



დიადი ჭაბუკი

ქანდაკება იაკობ ნიკოლაძისა



უჩა ჯაფარიძე
 პირველი მაისის დემონსტრაცია
 თბილისში აზხანავ სტაინის
 ხელმძღვანელობით, 1901 წ.



ა. ციმაკურიძე
 ქვემო სხეთი



მ. თოძე (1904)
 კალობა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბალი



მ. მ. მ. მ.

ა. მ. მ. მ. მ.

საბურამოში



ქვემოთაა
ბიზნესისა

მამულის წარსული და აწმყო, ტკივილები და სიხარული, წარსულის სიმწვავე და აწმყო სიღიადე თითქოს აქ შეკრულა, აქ შეკვანძულა, თავისებურად განცხადებულა ორი დიდებული მოხსნის— ილია ჭავჭავაძის და დავით გურამიშვილის ბედში.

თავისებურად დიდად მღელვარე და მწვავე იყო ორივეს ბედი, ორივე მკვდრეთით აღადგინა ჩვენმა დროებამ.

არაგვის შესართავიდან მოკიდებული ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი ამშვენებს ამ მიდამოებს, მაგრამ ყოველი ნაბიჯზეც რომ აიგოს ძეგლი, ეგებ მაინც არა კმარავდეს ქართველი ხალხის მიერ აქ განცდილის გადმოსაცემად.

გაიპარობთ ყოველი ადგილი, ყოველი აღმართული თუ აღუშართველი ძეგლი, გაფიქრებთ, გაღელვებთ, წინ გადაგიშლით მთელს ისტორიას და მერე, როცა მოდელი თვალი აპყვება არაგვის კარებს, მთები თანდათან გაბაცდება, ზოგჯერ თითქოს დაიკარგება ზღვარი მწვერვალებსა და ზეცას შორის და თითქოს შორს, ძალიან შორს, ყველაფრისაგან მოწყვეტილად, საოცარი დიდებულებით გამოიხსნება მყინვარის „ყინულით ნაკვეთი თავი, ცისა და მიწის შუა დაკიდულ“, რა კარგად უთქვამს ილიას!

მყინვარს ბევრჯერ შეუბურია დიდი ილიას ფიქრი და გრძნობა; მყინვარიდანვე მოვედინა პოეტს წარმატცი სახე აჩრდილისა, მყინვარიდან მოესმა მისი ამადღელებელი და საიმედო სიტყვები, რომ უსათუოდ დაიმსხვრეოდა კაცთა ცხოვრების შემაფრნებელი ბორკილი, მოისპობოდნენ მზაგვრენი, რომ განთავისუფლებული ტვირთმძიმენ დაამყარებდნენ საერთო მშვიდობას, ბედნიერებას და ქართველი ერის შვებით ამოისუნთქავდა.

აღსრულდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: დიდი რუსი ხალხის დახმარებით მან მოიპოვა ნამდვილი ეროვნული თავისუფლება. რუსი ხალხის დიდი კულტურის ცხოველყოფილი გავლენის სამადლობელი ქართველმა ხალხმა ილიას სიტყვებით ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გამოთქვა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გავვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალოვნს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგანობა...“

და როდესაც ილიას აიგნიდან გაჰყურებთ მიქეფარე არაგვს, გონების თვალთ წარმოიდგენთ შორეულ მყინვარს, გეჩვენებათ, თითქოს ეს ილიას განცხადებული სახებაა, თითქოს მამულისათვის ღვაწლით დაუღალავი, მამულისათვის ტანჯული დიადი ადამიანი მადღიერებისა და ნეტარების განცდით გადმოჰყურებს თავის სამშობლოს, ხალხს, განთავისუფლებულ, ბედნიერ ხალხს, რომელიც ღრმარწმენით მიემართება წინ და, მოძვე ერებთან ერთად, თავდადებული შრომით ახორციელებს კაცობრიობის ყველაზე მოწინავე ადამიანთა ნაფიქრს, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აგებს კომუნისმს.

ილიას სანატრელი „სიმართლის ხმა“ უკვე „...ყველგანა ჰქუხს, დასათრუნად მოხობისა“. დამონებული ერები ბობოქრობენ, ბობოქრობს აღმოსავლეთი, ისე ბობოქრობს, რომ ილიას მოძრაობისა და ბრძოლის სანატრელი სიმბოლოა— თერგი ეგებ ველარც გამოხატავდეს იმ დიდ, იმ მრავალმხრივ ბრძოლას, რასაც მსოფლიოს მშრომელები და ჩაგრული ერები აწარმოებენ იმპერიალისტური კაპიტალის, ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი მონოპოლისტების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა ბრძოლა იცის, შრომაც და ზეიმიც; იგი იბრძვის და მეთაურობს მშვიდობისათვის ბრძოლას მთელ მსოფლიოში; ახორციელებს დიად სტალინურ გეგმებს და აღფრთოვანებით ზეიმობს ყოველ წარმატებას, ყოველ გამარჯვებას; იგი შეხარის დიად აწმყოს, უკეთეს მომავალს და ყოველივე ძვირფას ნაანდერძებს წარსულიდან.

27 მაისი, ილიას სახლ-მუზეუმის გახსნის ზეიმი საბურამოში.

გაზაფხულის მშვენიერ დღეს, დილიდანვე, როცა ჯერ კიდევ ნაბიციმციმებდა კორდებზე, მუქმწვანით ამღელვარებული ყანების ნაპირებზე, არაგვის სიღვრე უამრავმა ავტომანქანამ გადაიქროლა, აუარებელი ხალხი დროშებით, ყვავილებით, სიმღერით, სიხარულით ამოძახილით გაიშალა ბაღში, შეეფინა ზედაზნის კალთებს. მართალია ამ სახლს მნახველი არასოდეს აკლდა, არც ილიას სიცოცხლეში და არც ჩვენს დროში. პიონერ-მოსწავლეები, წარმოების მოწინავე ადამიანები, კოლმეურნეები სშირად დიდ-დიდ ჯგუფებად მოდიოდნენ აქ და მადღიერების გრძნობით იგონებდნენ ქართველი ხალხის ჭირნახულ მოამაგეს, მაგრამ მუზეუმის გახსნის დღეს ყველამ ერთად მოიყარა თავი, თითქმის ყოველი ასაკისა და პროფესიის ადამიანი შეიკრიბა საბურამოში, აწმყოში ზედაზნის კალთები, ილიას ბაღი, ამღერდა ხალხი, ამღერდა მთელი გარემო, განსაკუთრებული დიდებულებით გადმოიხედა მყინვარმა.

ხარობდა, ზეიმობდა თავისუფალი, მშრომელი ქართველი ხალხი. ესოდენ დიდი ზეიმი ჯერ არ მოსწრებოდა საბურამოს. უღრდა ქართული ზანგი, სიმღერა სიმღერას სცვლიდა. მიტინგის დაწყებისას საქართველოს სახელმწიფო ჰიმნმა დაფარა ზედაზნის და აპყვა არაგვის ტალღებს. დასამხრებულმა მზემ დახედა მოზეიმე ხალხს. თითქოს ილიაც აქ იყო, ყველასთან იყო, ბედნიერი, ნეტარი, ისიც ტაშს უტარავდა და სხვებთან ერთად სამადლობელს ეუბნებოდა იმ დიად ადამიანს, ვინც ის აღადგინა, ვინც აღადგინა სიმართლე და ქეშმარიტება, ვინც უშიშარი ცხოვრება შეუქმნა საბჭოთა ხალხს, ვინც დაუღალავად იბრძვის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მთელ მსოფლიოში!

საზეიმო მიტინგს ხსნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანს. ზ. ნ. კეცხოველი.

ანს. ზ. კეცხოველის შესავალი სიტყვის შემდეგ ლაპარაკობს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე, სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი—ანს. გ. ლეონიძე.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სახელით სიტყვას ამბობს ანს. გ. გოლცევი.





კიდევ და კიდევ ილიას სახელს, ილიას ღვაწლს, ილიას უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხის სიყვარულს სახელოვანი წარსულისადმი ადიდებენ ერთიმეორის შემდეგ გამოსული ორატორები: საქ. მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი ა. შანიძე, სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი—პოეტი გ. სარიანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. კეცხოველი, რუსი პოეტი—ილიას მთარგმნელი ნ. ზაზოლოცი და სხვები.

მოზეიმე ხალხი მისალმებას უგზავნის დიდ სტალინს, მის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლ. ბ. ბერიას, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს და საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ხმა ერთხელ კიდევ ეფინება ილიას კარ-მიდამოს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ანს. ზ. ნ. კეცხოველი სტრის წითელ ზონარს მუზეუმის კართან და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიეშურება ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად.

ოთარ ჩხეიძე

ფოტოსურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ—ტრიბუნაზე საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. კეცხოველი—ხსნის საზეიმო მიტინგს, პოეტი გ. ლეონიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარე გ. გ. გოლცევი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ნ. კეცხოველი, პოეტი ს. შანიძე—მწიფილი, სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი პოეტი გ. სარიანი.





სამბოროლები

მოთხრობა

რეჟისორი ივანე პეტრიაშვილი

ნახატები შ. ცხადაძისა

ანტონმა ჯერ ისევ დილით შეამჩნია, რომ იალნოს უცნაურად მძიმე ღრუბელი წამოსწოლოდა. სალამოს შინმიმავალი, უკვე შიშმა შეიპყრო, რადგან ღრუბელი გაფუებულიყო, გაშავებულიყო და ასე გეგონებოდა — ცეცხლი მოუკიდებიათ და უგემურად იწვისო.

გზა, რომელსაც ის მიჰყვებოდა, მთის ფერდობს გასდევდა. სოფელი დაბლა, ტაფობში იყო გაშენებული და ხელისგულივით მოჩანდა ბალ-ვენახები და მინდორ-ველიც. შავად მოჩანდა ღობისძირები, კუნჭულები, სამჭედლო საამქროს ბოლსადენი მილი და ყანჩასავით თავაწვდილი ამწე „ბიონერი“, რომელიც დაუმთავრებელ კლუბის კედელზე იდგა. მოშორებით ჭიშკარივით გაჭრილ მთების ყელში იგრის პატარა ნაწილის შემჩნევაც შეიძლებოდა. იქით კი, გაღმა, გამოფიტულ გორმახებს უკან, ჯერ ტყიანი მთები გადაჭდობდნენ ერთმანეთს და მერე უტყეო „ცივი“ აღმართულიყო.

მიაბიჯებდა თავჩალუნული ანტონი და ფიქრობდა: სულ ამას ვამბობდი, მეათე და მეთერთმეტე სანგრევებს შორის ტრიალი მინდორი რომ არის, ძველი ბოძები დგას — მეთქი, ეს ისაო, ეს ესაო და აი, დღემდე ხელუხლებლად დგას, ატყდება ეს სავერანო ქარი და, თუ რომელიმე წააქცია... თუ კი არა, — უმჭველად წააქცევს, მაშინ უყურე სეირს...

მცირე ლაწუნმა ანტონი შეაკრთო. გაჩერდა და ხელები გაშალა, თითქო სხვაც ბევრი ჰყოლოდეს შესაჩერებელი. მახლობელი ნანგრევებიდან მელამ ისკუბა და გზა გადასჭრა. სანამდე ბუჩქნარს შეერეოდა, შედგა, მოიხედა და კბილები გამოაჩინა. ანტონს სიცილი წასკდა. ძველისძველ მონადირეს სასიამოვნო ზარბოშმა დაჰკრა და, სხვა რომ ვერა მოახერხა რა, მოგონებდა იქცა. ბევრი მსგავსი და უფრო საოცარი შემთხვევა მოიგონა საკუთარი გამოცდილებიდან; მისი გონების თვალწინ ერთმანეთს სცვლიდა: მელა საგველასავით გაფუეკილი კუდით, მელა — კურდღელს რომ დას-

დევნებია და მონადირეს ამჩნევს, მელა — ხაფანგში რომ გაბმულ და საკუთარ ფეხს იღრღნის...

ვერ გრძნობდა, როგორ იკბინებოდა ყინვა.

შეუმჩნევლადვე გადაუხვია გზიდან.

პაწაწინა უზანი, სადაც ის ცხოვრობდა, თითქმის არც კი ჩანდა — უზარმაზარ მუხების ტევრში იყო ჩაფლული. დასავლეთიდანაც ტყიანი ქედი დაჰყურებდა, აღმოსავლეთიდანაც. თვითონ დაბლობში იდგა და პატარა დეღე სჭრიდა, რომლის ორივე ნაპირს გალაღებული მურყანი და თელა მოსდებოდა. ერთ მხარეს ბარაკები იყო, მეორე მხარეს შავად პირდაღებული გვირაბი.

ძველათ ამ მიდამოებში გავლასაც კი უფრთხოდნენ. ახლა სამოციოდე მუშის ოჯახი ცხოვრობს. დილაადრიან მიდამოს აყრუებს საყვირის ხმა; ცახცახებს კომპრესორი, ბზუიან ელექტრომოტორები, ზღაპრულ ბელტიყლაპიასავით ჩამდგარა ექსკავატორი არხში და გულმოსული გლეჯს უსაქმურობით გაზარმაცებულ მიწას. ადამიანები... ყოველ ნაბიჯზე მშრომელი, ამაყი ადამიანები!..

არის იდილიური სანახაობაც: ზაფხულობით, როცა აქაურობა მწვანე ბალახით და რბილი ხავსით იფარება, როცა ცა კრიალავს, სუსტი ნიავი ქრის, მოაქვს მუსიკის ხმა (რადიომიმღები თითქმის ყველასა აქვს), ჯადოსნურად ახლართულ ხეთა ჩრდილებში მოფარფატე ახალგაზრდობის კისკისი და ბულბულის ტია-ტია... ზამთრობით, როცა გარეთ ჰყინავს, როცა სერებზე ტურები სხედან, გაოცებით დასცქერიან ამ უცნაურად სახეშეცვლილ მიწას, კვიან საცოდავად (თუ გრძნობენ თავიანთ აღსასრულის სიახლოვეს) და შენ კი შინა ხარ, ადამიანურ მოვალეობის პატიოსნად შემსრულებელი უზიხარ გახურებულ ღუმელს, გაქეზებს ელნათურის ბრდღვიალი, რადიომიმღებით მოგზაურობ ქალაქიდან ქალაქში და შეუმჩნევლად იფერფლება ღამე.

ჯერ სინათლე არ აენთოთ. თალხი ფერი გადაჰკროდა ყველაფერს. მოწყენით გამოიყურებოდა პირველი ბარაკიც, მაგრამ ყველაზე

მოწყენილად ანტონს მაინც თავისი ოთახის ფანჯარა მოეჩვენა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი მეუღლე დღესაც არ დაბრუნებულყო თბილისიდან.

„ალბათ ისევ მყვარებია, რომ ასე მომენატრა“, — გაიფიქრა დიმილით. მერე შუაღამეზე ხელი მოისვა, თითქო ამ ფიქრების მოხვეტა და გადაყრა უნდაო.

ზარაკის დერეფანში არავინ შეხვედრია. სითბო და შემწვარი ხორცის საამო სუნი კი იგრძნო. და ახლა გაახსენდა, რომ დილას აქეთ საჭმლის გემო არ ენახა.

...კარი რაღაცას წამოედო. ხელი მოაცაცუნა და წერილი შერჩა. მაშინვე როდი გაუხსნია. ჯერ კარადიდან წინადღის პური, შინაური ძეხვი, ლორი და არაყი გამოაწყო. კარგად დანაყრდა და მხოლოდ მაშინ წაახია კონვერტს.

„გამარჯობა ანტონ! გწერთ თქვენგან მივიწყებული გოგი ზურაბიშვილი.“

თქვენი მშენებლობის წარმატებების ამბავმა აქამდეც მოაღწია. გილოცავთ გამარჯვებას! გისურვებთ შემდეგ წარმატებებს! დაე თქვენი პატიოსანი შრომა დარჩეს საამაყო წვლილად კომუნისტების მშენებლობის საქმეში.

ამჟამად ოდესაში ვარ. ცხოვრებით მშვენივრად ვცხოვრობთ. აქაც თვითმოქმედ წრეს ვხელმძღვანელობ და თითქმის ყოველ საღამოს ვცეკვავთ. თუ მშვიდობა იქნა, სულ მალე ჩამოვალ. საღამო გადაეცი ჩვენს საერთო მეგობრებს. განსაკუთრებით კი უფროს მექანიკოს გრიგოლს, ჩვენს ახალ ენერგეტიკოს ქეთევან მშვილდაძეს, როსტომს და... ყველას. მაგრად გართმევთ ხელს. ნახვამდის“.

წერილი აჩქარებული ხელით იყო ნაწერი, მაგრამ მაინც ცტყობოდა, რომ ავტორი სილამაზის მოყვარული კაცი უნდა ყოფილიყო. ასოები ლაღად, ლამაზად მოქნეული და გამოკვეთილი იყო. ნაწერმა ანტონს გოგის მაღალი, მოქნილი ტანი გაახსენა. წარმოადგენინა თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი ფორმის ტანსაცმელში. ანტონს იგი ახსოვდა ყოველთვის ლარივით გაჭიმული, უფრო სწორად — ზამბარასავით ელასტიკური, ბეჭებანიერი და პირხმელი. როგორც ჩინებული მოცეკვავე, იგი მსუბუქად დადიოდა, მაგრამ მარტო სინარნარე როდი დასდევდა თან. მასში ბევრი რამ იყო ვეფხური, ნამდვილი ვაქაცური. ახლა რა უდარდელად ჰქონდა მიმოყრილი გრუზა თმები, ჯადო, რომელმაც ყველაზე მეტად მის ქალიშვილზე იმოქმედა. მართლა, რატომ არაფერს არ იწერება ტატიანას შესახებ?

ადგა და წერილი ერთხელ კიდევ გადაიკითხა.

— რა მოხდა? შავმა კატამ ხომ არ გაირბინა მათ შორის?

ამ აზრმა შეაწუხა, ადგილზე ვედარ გაძლო. ადგა, გაიარა-გამოიარა. ისევ გოგი ზურაბიშვილი აეხატა თვალწინ.

არა; ცუდები როდი იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებთანაც სულ ორიოდ თვე აახლოვებდა. მაგრამ გოგი და მისი „რაზმი“ (როგორც ანტონი ეძახდა იმ ხუთეულს, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დღეს იქნა გაწვეული სამგორიდან) მაინც სხვა იყო. კერძოდ გოგის, მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობით თავმოწონება უყვარდა, ისეთი რამ გააჩნდა, რაც სხვებში ნაკლებად შეიმჩნეოდა. ეს იყო გააზრების სისწრაფე და ენთუზიაზმი, ენთუზიაზმი, რომელიც მაღალმოსავით მოქმედებდა სხვებზე. ახსენდებოდა, როგორ მღეროდა და კისკისებდა საზარელი ქარცოფის ჯობრზე თორმეტმეტრიანი ბოძის წვერზე მჯდარი, როგორ დასცინოდა წუწუნა თანამშრომლებს, როგორ მოხდენილად აკეთებდა ყველაფერს — დაწყებულს ბოძის ჩასმით — დამთავრებულს გამტარების დაცალწვერებით.

...როცა მიდიოდნენ, გამოსამშვიდობებელი კონცერტი გამართეს და ჰესმშენის მუშაკებს ერთხელ კიდევ აგრძნობინეს ჭაბუკური ცეცხლისა და გაქანების სიძლიერე.

ანტონმა კარგად იცოდა, რომ თუ პასუხს ახლავე არ დაწერდა, მერე ძალიან გაუქნელდებოდა. რვა საათისთვის თათბირზე უნდა წასულიყო, ჯერ მხოლოდ შვიდის ნახევარი იყო, და გადაწყვიტა ახლავე მიეწერა. თეფშები აალაგა, მაგიდა ხელისგულით გადმოწმინდა, მაჯები და საყელო მიიშლიდა, მაწაწინა თაროდან, რომელშიც ორიოდ წიგნი და საანგარიშო, ფორმის ქაღალდები იდო, სუფთა რვეული გადმოიღო და, სანამ წერას შეუდგებოდა, გარეთ გაიხედა.


მთვარე ამოსულიყო. გრძლად გაწოლილი ხეთა ჩრდილები ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ. ყველგან სინათლე ენთო და ყველა საკვამური ბოლავდა. ბოლავდა იაღნოც.

დაჯდა და ფანქარი მოიმარჯვა. ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დაეწყო წერილი. „სალამი გოგი“, დაწერა მსხვილი ასოებით. ერთხანს უმიზნოდ აწვალებდა ფანქარს, მერე წარწერა გადაშალა, ფურცელი ამოხია და ხელახლა დაიწყო. „ჩვენო ყოჩაღო ბიჭო“.

თვითონაც არ იცოდა, ვის გულისხმობდა „ჩვენოში“ — მთლიანად მშენებლობას, თუ მარტოდენ საკუთარ ოჯახს. ეს ისე, თავისით მოვიდა და სხვა სტრიქონებიც თავისთავად მოჰყვნენ.

„შენი წერილი დღეს, ე. ი. 23-ს მივიღე. აქ დიდი თოვლია და ძალიანაც ცივა. დღეს ქვესადგურის მახლობლად ვმუშაობდით. იქიდან რომ ვბრუნდებოდი, მეღა შემომეყარა. მე — ცხვირწინ გადამთრია იმსიგრძე კული! მელიის ნახვა კარგად მაქვს დაცდილი, და აკი შენი წერილიც მივიღე. მაგრამ, მაინც, სიმართლე რომ გითხრა, ოდნავ უხასიათოდ ვარ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტატიანას გამოცდები ეწყება და ჩემი ბებერი მეხუთე დღეა, რაც ქალაქში ზის, მეორეც — იაღნო გვიბღვერს და ქარს გვიქადის. ამოვარდება სავერანო, და ვიცი, მანამდე არ ჩადგება, სანამ რამეს არ გვაზარალებს. მეათე და მეთერთმეტე სანგრევებს შორის რომ ხაზებია, ხომ გახსოვს? იმისი მეშინია. თუ ახლა გადარჩა, მერე მე ვიცი.“

საერთოდ კი კარგად ვართ. ამასწინათ მე და გრიგოლი წავიჩხუბეთ. აი, უკვე მეთხუთმეტე წელი მიდის, რაც ჩვენ ერთად ვმუშაობთ, თვე ისე არ გავა, კამათი არ მოგვივიდეს, მაგრამ ასე არასოდეს არ გვიჩხუბია. იმ ზომამდე მივედი, რომ განთავისუფლება ვთხოვე. განცხადებაც დავწერე. ისიც დამეთანხმა, მხოლოდ ერთი პირობით — ჯერ ეს საქმე დაამთავრე და მერე საითაც გინდოდეს, იქით წადიო. გაცეცხლებულები დავშორდით ერთმანეთს, რა მექნა, არ ვტყუოდი... როგორ მეცნო თავი მტყუნანად?! მალე ყველაფერმა გადაიარა, საქმე თავიანად დაამთავრა და სინანულს ვგრძნობდი — კაცს ტყუილ-უბრალოდ რატომ ვაწყენინე მეთქი. მთელი საღამო ვინანე. თან მინდოდა, რომ წავსულიყავი და ბოლოში მომეხადა, თან თავს ვიკავებდი. ბოლოს მაინც გადაწყვიტე — წავალ და ვნახავ მეთქი. ქურქი ჩავიცვი, გამოვადრე ორასი მანეთი ჩემი სახლობის დანაზოგს და გზას დავადექი. ბნელი ღამე იყო, ენდებე მივდიოდი. ერთიც ვნახოთ, ლაპარაკი მესმის. ვილატანი მოდიან, მძიმე ჩექმებს მოაბრაახუნებენ. მოახლოვდნენ, ავხედდავხედეთ ერთმანეთს და ვიცანი: გრიგოლი და მეორე უზნის უფროსი აბულაძე. საკმაოდ დატვირთულები მომიჩვენენ. რაშია მეთქი საქმე. თურმე ნუ იტყვი, საკუთარ პურ-ღვინოთი მოდიოდნენ ჩემსაქმე, შესარეგებლად. და შევრიგდით! ასეა, ჩემო ძმაო, და



შვილო, საქმის გულისთვის ან ჩხუბი მოვივა, ან ვინმეს აწყენინებ, ან გაწყენინებენ. აბა უამისოდ როგორ იქნება!

ჩვენი ბრიგადა მობილიზებული სოფლელი ახალგაზრდებით შეავსეს. ხრამქსელი ერთიდა შემრჩა — ჩვენი „ბებერი“, გორდელაძე. როდი ვფარისევლო. ბევრჯერ მომნატრებია თქვენი თავი. აი ახლაც, თუ ქარი ამოვარდა, თუ რამე დაზიანდა, უნდა ვიჯდე და ველოდო როდის დაიწყება „სამუშაო დღე“. ამ ბიჭებს ხომ იმდენს ვერ მოსთხოვ — შუალამისას მიადგე და ძალით წამოავდო. ისინი ჯერ ხომ კიდევ არ არიან ნამდვილი სამგორელები, მათ ხომ ჯერ სისხლბორცვი არა აქვთ გამჯდარი მშენებლობის სიყვარული, ისინი

ხომ ჯერ ვერ მიიჩნევენ საკუთარ ტკივილად სამგორის მშენებ-
ლობის ტკივილს, მათ ხომ ჯერ ისევ თავთავიანთ სოფლებისკენ
მიუბრუნებენ თვალი“...

ფანჯარას თითქო ვიღაც მოაწვა. ანტონმა ყური მიუგდო.
მერე წამოხტა და გარეთ გაიხედა. მთვარე საკმაოდ შემომალღე-
ბულიყო, სპეტაკი თოვლი საამურად ბრწყინავდა.

საათს შეხედა. რვას ოცი წუთი აკლდა.
აღარ დამჯდარა, აჩქარებით მიაწერა, იყავ ჯანმრთელად, მოკი-
თხვა ამისგან და იმისგანო, მოკითხვა შენს მეგობრებსო და ერთი
მოქნევით მოაწერა ხელი.

აივანზე მწვავე ყინვა შეხვდა.
„მშვიდად რომ ჩაიაროს ღამემ, დღისით რამეს მოგუხერხებთ
იმ ხაზებს“, გაიფიქრა და შემპარავად გახედა იაღნოს. გოროზი მთა
ისევ ისე ბოლავდა.

...თათბირი ათ საათამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში
ანტონი არაერთხელ შეშფოთდა და სხვებიც შეაშფოთა. საკმა-
რისი იყო ავტომობილის ჩაქროლება, ანდა რაიმეს დარახუნება,
რომ იგი ფანჯარისაკენ იწევდა და შემკრთალი იძახდა:

— დაიწყო.
მაგრამ თათბირის დასასრულამდე არაფერი შეცვლილა. მხო-
ლოდ მაშინ, როცა „გასაბოლოებლად“ აიშალნენ და კარებისაკენ გაე-
მართნენ ჯგუფ-ჯგუფად, ყაყანი, დაუმთავრებელი კამათით, სა-
ხელდახელოდ აგებული კლუბის მსუბუქი კარი ორიოდეჯერ ისე
მოჯახუნდა, გეგონებოდა, ვიღაცამ გულმოსულად გაიხურაო.

გარეთ თოვლის კორიანტელი დახვდათ.
— აკი ვამბობდი, — არ ცხრებოდა ანტონი. — ახლა უყურეთ!
უყურებდნენ და ხედავდნენ: როგორ გლეჯდა ქარი თოვლს
მთის თხემებზე, როგორ ცახცახებდნენ შეშინებული ხეები, როგორ
ცხეთებოდნენ ღრუბლებს და როგორ ბრუნავდა ბადრი მთვარე
კენწეროებში..

საბედნიეროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. კინო რომ
დაიწყო, ყველაფერი მიწყნარდა, ყველაფერი გაინაზა.

სამაგიეროდ ეკრანზე დატრიალდა ქარიშხალი.
გიორგი სააკაძე საქართველოსკენ მოუძღვებოდა შაჰ-აბასის
ჯორ-აქლემებიან ლაშქარს. იდგა გნისი, დედების წყევლა-კრულ-
ვა, ბავშვების ტირილი. გაავებული ცეცხლის ენები ლოკავდნენ
ცის კაბადონს, შავ კვამლს შთაენთქა საქართველოს მშვენიერი
სოფლები, ცხენ-კაცთ ჯიჯგინი ატიალებდა ქართველთა სარჩო-
საბადებელს....

აქ ანტონს მთელი სიცხადით წარმოუდგა, თუ რამ აქცია
უდაბნოდ სამგორის ნოყიერი მიწა, რომლის გაცოცხლებას ახლა
ამდენ ღონეს ალევდნენ. გული ეტკინა და მწუხარებით აღმოხდა:

— რა საშინელებაა: ხანძარი, ნგრევა, აოხრება... და ისევ ხან-
ძარი, ნგრევა, აოხრება.

თუმცა შინ რამდენიმე კაცთან ერთად ბრუნდებოდა, მაინც
მარტოდ გრძობდა თავს. ღრმა ფიქრს მისცემოდა და არაფერი
ესმოდა.

ფეხქვეშ მიწა ეგო, რომელსაც 326 წლის წინ გიორგი სააკაძემ
შვილი ანაცვალა, ირგვლივ ის მთები იდგა, რომლებიც გულის-
ცახცახით დასცქეროდნენ შვიდი მაისის ბრძოლას. აქვე იყო მარ-
ტყოფის ბოლოც, სადაც დაგორდა სააკაძის ხმლით მოსხებილი
გერავი ყარჩი-ხანის გადახოზრილი თავი. და ანტონი სიამაყეს



გრძობდა, რომ იგი, კალუგელი მეჩქემის შვილი, ღვიძლ ძმასავით
ამოსდგომოდა ხალხს, რომელსაც ათასეული წლების მანძილზე
ქლევდნენ, სწავდნენ, მაგრამ ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი
გადაიტანა და კაცობრიობას თავისი ღირსების ნიშნად დიდი
სტალინი მისცა.

ამ ფიქრმა საოცარი ძალა შემატა. მკერდი გადაიღლა, ღრმად
ამოიხუნთქა და გაზრდილი, გამედიდურებული ზემოდან დააწყერდა
დამუქრებულ მთას.

ბოლავდა იაღნო. სადღაც, შორს, ყრუდ ისმოდა ხმაური (თით-
ქო მთის უკან ზღვა ღელავსო). მაგრამ როდიღა აკრთობდა ეს.
პირიქით, თვითონ ემუქრებოდა ბუნების სტიქიონს.

— ცოტა დაგვაცა, შენც მოგივლით მალე.
... ასე ეგონა, ჯერ არ მეძინებო. ღუმელი გაახურა, რადიო
ჩართო, კედლიდან ორლოლიანი „ტულუკა“ ჩამოხსნა და წმენდა
დაუწყყო. ამას რომ მორჩა, ახლა ვაზნები წამოჩენია, ხელახლა
დატენა, ნომრები დააწერა და ძილიც მოვიდა.

ერთხელ კიდევ გაიხედა გარეთ, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი
იაღნოს, ელნათურა ჩააქრო, ტანსაცმელი გაიხადა და დაწვა.
მეზობელ ოთახიდან მამაკაცის ბოხი ხმა ისმოდა:

— ჰობ, ჰობ, ჰობ!
მას ბავშვის კისკისი და ქალის ცივი შეკვივლება მოსდევდა.

შეზარბოშებული შოფერი „წვრთნიდა“ თავის „ჯულბარსს“.
მარცხენა ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა, მარჯვენაში შოლტი და
საცოდავ ძაღლს აიძულებდა ერთი მეტრის სიმაღლეზე ეხტუნა
წინ და უკან, წინ და უკან. თვითონაც არ იცოდა, რისთვის აწა-
მებდა ამ ერთგულ პირუტყვს. მონადირე ის არ იყო და ცირკის
მსახიობი...

ანტონი ჯერ მასზე ფიქრობდა, მერე სხვა ფიქრი წამოემატა,
მერე კიდევ სხვა და სხვა... ბოლოს ისღა შერჩა მესხიერებაში, რომ
ტკბილად ჩაესმოდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. რამ გამოაღვიძა,
ამის შესახებ არა იცოდა რა. თვალედაჭყეტილი იწვა და გონს
ვერ მოსულიყო.

ყოველი მხრიდან გუგუნი ესმოდა. ყოველი მხრიდან თითქო
ზღვა ქუხდა.

— ანტონ! ძია ანტონ!
წამოხტა. ელექტროჩამრთველს წაეტანა. დაუშვა. ოთახში ისევ
უკუნეთი სუფევდა. ჩამრთველი შეატოკა. გადაატრიალა, გადმოა-
ტრიალა, არაფერი შეცვლილა.

მაშინ კარებს სწვდა, გააღო და შემოჭრილ ქართან ერთად
სამი ლანდი შემოუშვა.

— ვერა გაგაგონეთ-რა. — აბუბუნდა ერთი მათგანი. — ალბათ,
ტელეფონის ხაზიც დაზიანებულია. ენერგია არ არის... გვილა-
ლატა იმ ძველმა ბოძებმა.

— ენერგია არ არის? მერე და...
ანტონი დატრიალდა, რაღაცას წამოედვა, რაღაც წააქცია, რა-
ღაც მინის ტურტული დაამსხვრია.

— ასანთი, ასანთი გექნებათ.
ერთმა ასანთი გაჰკრა.

წინდას ჩაბლაუჭებულმა, ამ ვეებერთელა კაცმა ქვემოდან ახედა
თავს წამომდგარ ბიჭებს, სახე დაემანჭა (რაც ჩხუბის ხასიათზე
დადგომას მოასწავებდა), რაღაც მწარის თქმა დააბირა, მაგრამ
შეცა, ჩაცმას თავი ანება და ლოგინს დაეყრდნო.

ასანთის სუსტი შუქი ოქროს ვარაყში აცურებდა ახალმოსულთა
მონტიორულ ღვედებს, „ბრჭყალებს“, ჯაჭვებს, სათვალეებს, რეზინის
ხელთათმანებს, ბრეზენტის ხმელ ტანსაცმელს და ანტონს მოეჩვენა,
რომ ეს ის ბიჭები კი არ იყვნენ, რომლებზედაც გოგი ზურაბი-
შვილს წერდა, ცალი თვალი თავთავიანთ სოფლებისკენ მიურ-
ბითო, — არამედ შეჭურვილი ქართველი რაინდები გაცოცხლებუ-
ლიყვნენ და ბრძოლის ყინით იწვოდნენ, თვალეებიდან ნაპერწკ-
ლები სცვიოდათ.

ასანთი ჩაქრა და წამით ისევ უკუნეთი გამეფდა.
— მოუკიდე რამეს, ე მანდ მაგიდაზე რვეული დევს.

მაგრამ სანამ მონტიორი რვეულს იპოვიდა, თვითონ მისწვდა მა-
გიდას. ხელში ფურცელი მოხვდა, ერთხანს თითებით ამოწმებდა,
თითქო ხარისხს უსინჯავსო. წერილი იყო, გოგი ზურაბიშვილისა-
დმი მინაწერი წერილი... გრძლად დაგრიხა, გაწელა, გაასწორა
და ბრძანა:

— მოუკიდე!
ცეცხლის პატარა ენა უმალ გაორდა და ოთახში სინათლემ
იმატა.

საათი ნაშუალამევის სამს უჩვენებდა...
... დღის 5 საათზე კი ანტონის ცარიელ ოთახში მოულოდ-
ნელად აციალდა ელნათურა. იატაკი მთლად მოსვრილი იყო. მა-
გიდის ქვეშ, ფეხსაცმლის ლანჩიდან მომძვრალ ტალახს დამწვარი
წერილის ფერილი ჩაწებებოდა, იქვე ეგდო ირგვლივ შემომწვარი,
გადარჩენილი ნახევი წერილისა, რომელზედაც ადვილად გაირ-
ჩეოდა ორი სიტყვა: „...ნამდვილი სამგორელები“.



სინგაპურში



ძარტველი მეფედაურის შთაბეჭდილებაანი

მოთა თოლაქა

შორს, აქედან ძალიან შორს, შავი ზღვის სანაპიროზე დგას პატარა, საოცრად ლამაზი ქალაქი ბათუმი. იგი უფრო ბალს წააგავს, ვიდრე ქალაქს; ყველაფერი სუბტროპიკებშია ჩაფლული. ეს პატარა ქალაქი განსაკუთრებით სუფთა და ფაქიზია ახლა ჩემს მოგონებაში, როდესაც მისგან რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით ვიმყოფები.

ზნელ ღამეში ბაქანზე ვდგავარ ჩაფიქრებული. ფიქრებიდან ჩემი სახელის გაგონებას გამოვყავარ.

მოვტრიალდი, ჩემს უკან დგას კაპიტნის მე-2 მოადგილე, რომელიც ვახტზე გასასვლელად ემზადება. მოდიმარი სახით მეკითხება—რას გაჰყურებ ზღვის ტალღებს ჩაფიქრებული, სამშობლო ხომ არ გაგონდება. ასეთ დროს ადვილია იმის გაგება, თუ რაზე ფიქრობს ადამიანი, რომელიც სამშობლოდან შორს იმყოფება. განა ჩვენს გემზე მოინახება ისეთი ვინმე, რომელსაც სამშობლო არ აგონდებოდა? ამიტომ მე არ გამიკვირდა, როცა კაპიტნის მოადგილემ ასეთი სიზუსტით განსაზღვრა ჩემი ჩაფიქრების მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდხანია მიწას მოშორებული ვართ, უახლოეს სანაპირომდე კი რვაას მილზე მეტია, მეზღვაურებში მოწყენილობა არ იგრძნობა. ჩვენი გემის მზარეული პავლე ვასილის-ძე ნამდვილი უნივერსალია. იგი იმდენად მზრუნველი და გულისხმიერია, რომ ყოველდღე ახალ რამეს ამზადებს, რათა ეცაბა ახიამოვნოს. მე განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობა. ის ნამყოფია საქართველოში, უმუშავნია ბათუმისა და თბილისის დიდ რესტორნებში. დღე ისე არ გაივლის, რომ რაიმე ქართული კერძი არ მოამზადოს.

ჩვენს გემზე იმყოფება მექანიკოსი კოჩო ლასლო. კოჩო დიდი მოყვარულია მუსიკისა, უყვარს დროსტრება და საზოგადოების გამხარულება. იგი ჩვენი „კონცერტმეისტრის“ პავლე ვასილის-ძის თანაშემწეა ამ საქმეში. კოჩო ლასლო თითქმის ყველა ინსტრუმენტს უკრავს და მიუხედავად იმისა, რომ უნგრელია, ზოგიერთ რუსულ სიმღერას თითქმის სუფთა რუსული კილოთი ამღერებს.

მე ძალიან გაცვირვებული დავრჩი, როდესაც კოჩომ მანდოლინაზე დაუკრა „სულიკო“, ხოლო შემდეგ „ციცინათლა“. მართალია კოჩო მხოლოდ მელოდიას ღლინებს, მაგრამ ხანდახან ზოგიერთ ქართულ სიტყვასაც გამოურევს ხოლმე. მშობლიურმა სიმღერამ ძალიან ამაღელვა, თვალწინ წარმომიდგა პატარა საქართველო, რომელიც ასე შორსაა ჩემგან, ქართველი ხალხი, რომლის სიმღერებს აქ, შორეულ ოკეანეში მღერის უნგრელი კოჩო ლასლო.

გეზი თითქმის პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ გვაქვს აღებული, ამიტომ სიგრძედი მალე იცვლება. დღეს შევედით დროის მეშვიდე სარტყელში და საათის ისარი სამოცი წუთით წავიწიეთ წინ. რამდენიმე საათის სვლის შემდეგ შევედით მალაის სრუტეში. მარჯვნივ მდებარეობს კუნძული სუმატრა, ხოლო მარცხნივ მალაის ნახევარკუნძული.

ღამით ლამაზია სრუტე, სუფთა წყალში მოჩანს მთვარის ანარეკლი. კუნძულ სუმატრაზე აღმართულია შუქურა, რომელიც გზას გვიჩვენებს.

დილით გავდივართ აუარებელ კუნძულებს შორის, რომლებიც ამ ფართო სრუტეში კობტად არიან განლაგებული.

ეს კუნძულები იმდენად ლამაზია, რომ მათი აღწერა ძალიან ძნელია.

ზღვაში ზოგიერთ ადგილას მოჩანს წყლიდან ამოწვდილი ხეები, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ამ ხეებს ზღვის ფსკერზე აქვთ გადგმული ფესვები. ხის ნახევარი ტანი დაფარულია წყლით, ზემოთ კი მოჩანს გაშლილი, ფოთლებიანი ტოტები. ასეთი ხეების ჯგუფს აქ ბევრს დაინახავთ. ტროპიკულ ზონაში საერთოდ დიდაა ზღვის მოქცევისა და უკუქცევის ამპლიტუდა. მოქცევის დროს ზოგიერთი კუნძული, რომელიც ზღვის დონიდან დიდად არ არის აწეული, წყლით იფარება და მცენარეები, რომლებიც ამ კუნძულზე ხარობენ, ნახევრად წყალში იმალებიან.

დაახლოებით ერთი მილის მანძილზე ჩავუარეთ მოზრდილ კუნძულს, რომელზეც მოჩანს დიდი შენობა მაღალი ქვის კედლებით შემოზღუდული. ამ კუნძულზე პოლიტიკური პატიმრების საპრობილია, ინგლისელი იმპერიალისტებს ამ საპრობილიში პოლიტიკური პატიმრები მოჰყავთ მონის მძიმე უღელქვეშ მგმინავი კოლონიებიდან და აქ სამუდამოდ ამწყვდევენ. ამ საპრობილიში საშინელი რეჟიმია გამეფებული. შიმშილისა და შეუბრალებელი ცემისაგან ათასობით პატიმარი იხოცება.

თანდათანობით კუნძული თვალს მიეფარა. ჩვენს წინ ახალი კუნძული გამოჩნდა, რომელზეც მოჩანს დიდი, თეთრად შეღებილი კოლონადა. ეს კოლონადა აუგია ერთ-ერთ ინგლისელ კაპიტალისტს თავისი შვილის სამხსოვროდ, რომელიც ამ მხარეში დაღუპულა. ამ კუნძულს რომ შემოვუარეთ, ჩვენს თვალწინ გადაიშალა სინგაპურის ნავსადგური.

მალე მივუახლოვდით ნავსადგურში შესასვლელს და რეიდზე დავდექით.

მე და ჩემი მეგობარი კაიუტიდან ავედით ზემოთ, საკომანდო ხილზე და იქიდან გავხედეთ ქალაქს. ცენტრში მოჩანს ჯგუფი მაღალსართულიანი სახლებისა, მაგრამ როგორც კი მარჯვნივ ან მარცხნივ ქალაქის განაპირა უბნებისაკენ გაიხედავ, იმავე წუთში დაინახავ დაბალ, თითქმის მიწასთან გათანაბრებულ ქოხმხებს. დიდი შენობების ჯგუფი უცებ თავდება. არავითარი თანამიმდევრობითი გადასვლა.

ცოტა ხნის შემდეგ გემს მოადგა ჩინელებისა და ბაბუასების ნაგები. ბაბუასების ხილვამ უცებ გამახსენა კინოსურათი „მიკლუსო-მაკლაი“. ეს ადამიანები არაფრით არ განსხვავდებიან ამ კინოსურათში ნახული ველური ხალხისაგან. ბაბუასებს აქვთ ძალზე შავი თმა. მოკლე შარვალი აცვიათ, ხელში გრძელი, წვეტიანი ჯოხები უჭირავთ, აღნაგობით დაბალი ხალხია, ყვირიან რაღაც საშინელი ხმით.

ჩვენს წინ გაიარა ნავმა, რომელშიც იჯდა ბაბუასი ქალი. მას გრძელი, ძალიან შავი თმა ჰქონდა. იგი ველური გამოხედვით დიდხანს აოვალიერებდა ჩვენს გემს. თითქმის ყველა ბაბუასს ხელში ეჭირა ქოქოსის კაკალი, ანანას ან ბანანები. ეს ხილი აქაურ ტყეებში ძალიან ბევრია, მაგრამ საუბედუროდ ეს ბუნების სიმდიდრეც მათთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

აქაც ისევე, როგორც სხვა ნავსადგურებში, ყველა გემზე მოსული საქმელს გვთხოვს.

აგერ ნავით ორი პოლიციელი მოგვადგა. ისინი დამტკრული ინგლისურით მოგვეხალმნენ და ურცხვად გვთხოვეს საქმელი. კიბესთან დაყენებული პოლიციელები თავის პოსტზე მოუშორებლად უნდა იდგნენ, მაგრამ ისინი ხშირად გემის სასადილოსკენ გარბიან, სადაც ვახტის ყოველ ცვლასთან ერთად საუზმობენ, სადილობენ და ვახტობენ. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს აქაური ხალხის მდგომარეობას.

ნავსადგურში ძალიან ცხელა, შავი არ მოძრაობს, სინგაპური ძალიან ახლოს მდებარეობს ეკვატორთან და ეს სიხალვე მთელი თავისი სიმკაცრით იგრძნობა. თორმეტ სექტემბერს ადრე ავექი. დილიდანვე ეტყობა, დიდი სიცხე იქნება დღეს.

ვინც ნაპირზე წასასვლელი ვართ, თავი ერთად მოვიყარეთ. გემიდან ძირს ჩაშვებულ კიბეს ნავი მოადგა, ჩვენც ბევრი არ დაგვიყოვნებია, ჩავსხედით ნავში და გვეშურეთ ნაპირისაკენ. საუბარში ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მივადექით ნაპირს.

როგორც კი ხილზე ავედი, დავინახე ხალხის ჯგუფი. ისინი ერთმანეთში ირევან. სანამ ქალაქში გასასვლელ კართან მივიდოდით, ჩვენთან რამდენჯერმე მოვიდნენ ტანსამოსჩამოფლეთილი ბავშვები და გვთხოვეს რაიმე მიგვეცა. აქ ხილზე ყველას არ უშვებენ, უშვებენ მხოლოდ მგზავრებს, მაგრამ მგზავრთა შორისაც ბევრია მათხოვარი.

გამოვედით კარში და დავადექით ქუჩას, რომელიც ზღვის სანაპიროს მიჰყვება. ჩვენი ყურადღება მიიპყრო საზღვაო სადგურის ირგვლივ ჩამომსხდარი ადამიანების დიდმა ჯგუფმა. გავყვეით სანაპირო ქუჩას. თითქმის მთელ სიგრძეზე ქუჩის ორივე მხარეს სავსეა ხალხით. რაც უფრო ვშორდებით ნავსადგურს, ხალხი თანდათან თხელდება. გულმა მიაზრა: ეხენი უმუშევრები უნდა იყვნენ, უმუშევართა ეს ჯგუფები იცდიან ნავსადგურთან საშუაოს მოლოდინში. ისინი გავაციცებით ადევნებენ თვალყურს ყოველი ახალი გემის გამოჩენას; გემს შეუძლია მათთვის საშუაოს მოტანა.

სანაპირო ქუჩა, რომელსაც მივყვებოდით, ლამაზია, შენობებიც კარგად არის ნაგები, არის რამდენიმე მრავალსართულიანი კობტა შენობა. მათ წინ მოწყობილია გაზონები. ქუჩა საკმაოდ ფართოა. სანაპირო ქუჩაზე ბევრია ქოქოსის ბაღმა და სხვა ტროპიკული მცენარე.

ათი წუთის შემდეგ ქალაქის ცენტრში მოვექეციით. მივედით გზაჯვარედინზე, სადაც ორი ცენტრალური, მაგრამ მაინც ძალზე ვიწრო ქუჩა ჰკვეთს ერთმანეთს. ადგილმდებარეობა აქ ლამაზია.

ამ ქუჩაზე მანქანებს ერთითად სჭარბობენ რიკშები: ველოსიპედზე მიდგმულია ტახტრეანი, რომელშიც მგზავრი ჯდება, ველოსიპედი კი მიჰყავს რიკშას. რიკშებზე უმეტესად ჩინელები ან ინდოელები არიან. ეხენი საზიდრის მართვას უნივერსალურად არიან დაუფლებულნი. ხედავ, მოდის რიკშების ჯგუფი მთელი სისწრაფით. მოდიან ისინი მგზავრით, ან ცარიელი. როდესაც მათ უყურებ, გგონია, ერთმანეთს დაეჯახებიან, ან მოსახვევში რომელიმე მანქანას შეეფშვნიბიან, მაგრამ არა. მანქანა რომ მოსახვევიდან უცებ გამოვიდეს, ინდოელი ან ჩინელი რიკშა წამსვე შეაჩერებს საზიდარს და გვერდს ისე მოხერხებულად აუფლის მანქანას, რომ განცვიფრებაში მოგიყვანს.

ქართული ნიშნები ახალი დამოკიდებულება
 ქვეყნების ენაზე



გაფუარეთ ბაზარს. ცოტა ხანს შევიჩნდით და და-
 ვათვალთვალეთ. აქ ბევრია პირდაპირ მიწაზე დაწყობილი
 ხილი, ბოსტნეული და ხორცი. ხორცს ფერი ისეთი
 აქვს, რომ ძალის გეგონება. ამ ბაზარში აუარებელი
 მათხოვარია, ისინი გასაქანს არ გაძლევენ და ყოველი
 ფეხის ნაბიჯზე გთხოვენ ფულს.

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურის ქუჩებში სხვა-
 დასხვა ქვეყნის აუარებელი მეზღვაური დადის, არც
 ერთი მათგანი საზღვაო ფორმით არ გამოდის ქალაქ-
 ში, გამყიდველები მაინც უმალვე არჩევენ მეზღვაურს
 ადგილობრივი მცხოვრებისაგან. ეს გასაგებია არის,
 რადგან მათი საქონელბრუნვა მეზღვაურების ხარჯზე
 წარმოებს.

გავედით ხილზე, რომელიც დაჭობებულ არხზეა
 გადებული. ამ ჭაობიან წყალში ვხედავთ ნავეებს, ნა-
 ვებში ბავშვები და ქალები სხედან. ასეთი ნავეები
 ბევრია ამ არხში. შემოდან ნავეები დახურულია სხვა-
 დასხვა ფერის მატერით. ეს ნავეები ამ ბედშავი ხალ-
 ხის მუდმივი საცხოვრებელი ბინებია. ამ ნავეში იბა-
 დება, იზრდება და, ალბათ, იქვე კვდება ადგილობრი-
 ვი მოსახლე. დიდხანს ვათვალთვალეთ ამ ნავეებს და
 მათში „მცხოვრებ“ ხალხს.

ხილიდან პირდაპირ ქუჩაში გავედით. ხალხის მო-
 რაობა ძალიან დიდია. აქ ნახავთ თითქმის ყველა ეროვ-
 ნების მეზღვაურს: ფრანგს, შოლანდიელს, ბერძენს, ამე-
 რიკელს, მალაელს, ინდოელს და ჩინელს. ბლომად
 გვხვდებიან ინგლისელები, რომელთაც მოკლე შარვ-
 ლები აცვიათ. მათ თავი მედიდურად უჭირავთ, თით-
 ქოს შორეულ მალაიაში კი არა, თავის საკუთარ სახლ-
 ში იყვენენ. მათი გამომეტყველება ნათლად ლაპარა-
 კობს იმაზე, რომ ისინი აქ თავს ბატონ-პატრონად
 გრძნობენ.

ქუჩის ორთავე მხარეს ძალიან ბევრია წყლის გამ-
 ყიდველი. მაგრამ აქ მუშებისათვის ეს წყალიც კი მი-
 უწვდომელია. ისინი ჩვეულებრივი ჭაობიანი მდინარის
 წყალს სვამენ, ვინაიდან ერთ ბოთლ „კოკა კოლას“ ან
 ლიმონათს ნახევარი დღის ხელფასი უნდა... საერთოდ
 უნდა აღინიშნოს, რომ აქ სურსათი სამრეწველო სა-
 ქონელთან შედარებით ერთათად ძვირია.

ჩვენ გვინდა მოვხვდეთ გარეუბანში. ამიტომ მო-
 ვხვებით მარჯვნივ. როდესაც გავიარეთ დაახლოებით
 ორასი მეტრი, დავინახეთ ლამაზად ნაგები ეკლეს-
 სია, მაგრამ ეს ეკლესია როდის იყო ჩვეულებრივი,
 ეს იყო ადამიანთა ფეგურებისაგან ნაგები ეკლესია. ეს
 ფეგურები რამდენიმე სართულად ადგანან ერთმანეთს
 მხრებზე და ასეთ მდგომარეობაში წარმოსახვენ სხვა-
 დასხვა ლოცვებს. გავედით გზაჯვარედინზე და პირ-
 დაპირ გავემართეთ გარეუბნისაკენ. გავიარეთ დაახ-
 ლოებით ხუთასი მეტრი და მოვხვდით ხელოსანთა
 უბანში. ბევრია კერძო სახელოსნოები, სადაც ამზადე-
 ბენ ფართო მოხარების ყოველგვარ საგნებს. საერთოდ
 აქ ძლიერ არის განვითარებული ხელოსნობა.

უკვე გარეუბანში ვართ. აქ ხომ ქალაქის სიახლო-
 ვის არავითარი კვალი არ ჩანს. შენობები უმთავ-
 რესად მიწით არის შეღესილი და ისიც ჩამონგრეუ-
 ლია. თვალწინ გადაგვეშალა უკიდურესი სიღატაკისა
 და არაადამიანური ცხოვრების სურათი. ქუჩა ძალზე
 ბინძურია. გვხვდება აუარებელი ხალხი, რომელიც ქუ-
 ჩაში ჰკრეფს „საქმელს“ და ასევე მოურიდებლად ფან-
 ტავს ქუჩებში სხვადასხვა ნაგავს. გარეუბანმა ჩემზე
 ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა.

მივდივართ ნავსადგურისაკენ ჩქარი ნაბიჯით, ჩვენს
 გულში აღძრულია სიბრაღული ამ დაჩაგრული ხალ-
 ხისადმი, რომელსაც ასე დაუნდობლად სტანჯავს ში-
 ნაური თუ გარეშე მტერი.

სადამოს ისევ გეშინავს ვდგავარ, დღის მძიმე შთა-
 ბეჭდილებებით დატვირთული. გავყურებ დასავლეთით
 ოკეანის უსაზღვრო სივრცეს და მაგონდება, რომ შორს,
 აქედან ძალიან შორს, შავი ზღვის სანაპიროზე დგას
 პატარა, საოცრად ლამაზი და ბედნიერი ქალაქი ბა-
 თუმი.

იმის მიხედვით, ქართველი მწერლების თუ რა ნაწარმოებები [ითარგმნა
 და ითარგმნება უცხო ენებზე უკანასკნელ წლებში, შეგვიძლია განვსაზ-
 ლვროთ უცხოელი მკითხველის ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი.
 გიორგი ლეონიძის ეპოპეა „სტალინი — ბავშვობა და ყრმობა“ გამოცემუ-
 ლია ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. ლეო ქიაჩე-
 ლის „მთის კაცი“ — რუმინეთში, უნგრეთში, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვა-
 კიაში. იმავე ავტორის „გვალი ბიგვა“ — ბულგარეთში, ინგლისში, არგენტინ-
 ნაში. ესპანურ ენაზე ბუენოს-აირესში „გვალი ბიგვა“ 100 000 ტირაჟით
 გამოვიდა.

ჩინეთში ჩინურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ავსტრიაში გერმანულ ენაზე ქართული კულტურის ცნობილი მცოდნის
 პროფესორ რობერტ ბლაიხშტაინერის თარგმანით გამოიცა დანიელ ჭონჭაძის
 „სურამის ციხე“ და თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსთა კრებული
 სათაურით „ახალი ქართველი პოეტები“. ამ კრებულში, გარდა ჩვენი დროის
 პოეტებისა, შეტანილია ქართველი კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი
 წერეთლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

ჩეხურ ენაზე დოქტორ იარომირ ედლიჩკას თარგმანით გამოიცა ქართუ-
 ლი ხალხური ზღაპრები და ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, რუმინეთში — ლეო
 ქიაჩელის „მამა და შვილი“. დიდის ინტერესით მუშაობენ შოთა რუსთაველის
 გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე — პოლონეთში ცნობილი
 პოლონელი პოეტი ი. ტუვიმი; ჩეხოსლოვაკიაში — იარომირ ედლიჩკა, გერ-
 მანიაში — რემანე, ავსტრიაში — ბლაიხშტაინერი.



გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიაში გამოსაცემად მზადდება ქართული პოეზი-
 სა და პროზის ანთოლოგია.



„ამჟამად მე ვმუშაობ შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. ვთარგმნი რუსული სიტყ-
 ვისიტყვით თარგმანიდან. ეს უკანასკნელი ქართველმა პოეტებმა გამოიმუშავეს თბილისიდან, მაგრამ მე
 ვგრძნობ, რომ თუ ქართული ენა ოდნავ მაინც არ იცი, არ შეიძლება ამ თარგმანის სრული პასუხისმგებლო-
 ბით შესრულება. ასე რომ მე ახლა ვეცნობი ქართულ გრამატიკას. უკვე შემიძლია რამდენიმე სიტყვის ქარ-
 თულად დაწერა. აი, ეს სიტყვები — „სტალინი ფოლადზე უჭიკცისა“. ეს პირველი სიტყვებია, რომლებიც
 მე ქართულად დავწერე“.

ი. ცუვიძი
 („ლიტერატურნაია ვაზეტა“).

პარტული ენის განმარტებითი ლექსიკონი



ივანე გივინიანი

ვე მოწვეული პირები: მწერლები, ლიტერატურის მუშაკები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ლექსიკონის შედგენას ხელმძღვანელობას უწევენ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“, რომელიც 1945 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. არნ. ჩიქობავას თავმჯდომარეობით, და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქცია“, რომელიც 1950 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა და რომელსაც დაევალა ლექსიკონის მთელი მასალის სახტამბოდ მომზადება. ლექსიკონის მთავარი რედაქტორია პროფ. არნ. ჩიქობავა.

ბას III ტომის მასალა (რედაქტორი — პროფ. ვ. თოფურია), გაცხველებული მუშაობა წარმოებს IV ტომის მასალის რედაქტირებაზე (რედაქტორი — დოც. ს. ვაჩნაძე).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ I და II ტომის გამოცემა მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ამით იწყება იმ ხარვეზის ამოვსება, რომელსაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის უქონლობა ქმნიდა.

ლექსიკონის I ტომში შევიდა 11237 სიტყვა და 1405 იდიო-

ბათა განმარტება და ლექსიკონის მთავარი რედაქტორისა და I ტომის რედაქტორის პროფ. არნ. ჩიქობავას წერილი „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: „ახალი სალიტერატურო ენის წარმოქმნისათვის“, „ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება“ და „ბრუნება და უღვლილება ქართულში“.

II ტომს ერთვის მთავარი რედაქტორის პროფ. არნ. ჩიქობავას წერილი „ი. ბ. სტალინის შრომები ენის შესახებ და მათი მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის“ და ტომის რედაქტორის პროფ. გ. წერეთლის წინასიტყვაობა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ შევა ყველა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოძღვრებაში ენის შესახებ ეროვნული ენების საკითხს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. ენათმეცნიერების სტალინური კონცეფციის მიხედვით „ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა“. სოციალისტური ერების ეროვნული ენები წარმოადგენენ ძირითად იარაღს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის განვითარებისა და მშრომელთა მასების მიერ ამ კულტურის დაუფლებისათვის. ამ იარაღის სათანადოდ მომარჯვება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

ენის შესახებ სტალინურ მოძღვრებაზე დაყრდნობით საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. კანდიდ ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ(ბ) თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენციაზე მთელი სიმწვავეთ დააყენა ერთიანი ქართული საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენის შემდგომი განვითარების, სიწმინდის დაცვისა და მთელ ქართველ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრების საკითხი და დასახა სათანადო გზები ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის განსახორციელებლად.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური ხდება შედგენა ლექსიკონისა, რომელშიც გამოვლენილი იქნება ენის ლექსიკური შესაძლებლობანი, ვინაიდან, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“.

1945 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ინტენსიური მუშაობა წარმოებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის შესადგენად. ამ დიდ მუშაობაში ჩაბმულია ენა მეცნიერების ინსტიტუტის მთელი კოლექტივი და აგრეთ-



ლექსიკონის სარედაქციო კოლეგია: (მარცხნიდან მარჯვნივ)—დოც. ი. გიგინეიშვილი, პროფ. ვ. თოფურია, პოეტი ი. გრიშაშვილი, პროფ. ვ. კუპრაძე, პროფ. ა. ჩიქობავა, პროფ. გ. წერეთელი, დოც. თ. ლომოური, პოეტი გ. ლეონიძე, დოც. ს. მენთეშაშვილი.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა გთვალისწინებულია 8 ტომად. სულ ლექსიკონში განმარტებული იქნება 125 ათასი სიტყვა. თითოეულ ტომში შევა 12-18 ათასი სიტყვა. ლექსიკონის I ტომი გამოვიდა 1950 წლის თებერვალში, ხოლო II ტომი 1951 წლის თებერვალში (I ტომის რედაქტორია პროფ. არნ. ჩიქობავა, II ტომისა — პროფ. გ. წერეთელი). გადაეცა სტამ-

ბატური და დამახასიათებელი გამოთქმა ა და ბ ასოზე (აქედან ა-ზეა 8896 სიტყვა, ბ-ზე — 2341 სიტყვა), II ტომში შევიდა 13696 სიტყვა და 1798 გამოთქმა გასოზე.

ლექსიკონის I ტომს დართული აქვს მთავარი რედაქციის ვრცელი წინასიტყვაობა, ლექსიკონში შეტანილი სიტყვა-სტატიების აგებულების დახასიათება და ლექსიკონით სარგებლობის წესები, შემოკლე-

სიტყვა, რომელიც დამკვიდრებულია ამჟამად მხატვრულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში. მასში წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობა და განსაკუთრებით ნაჩვენები იქნება ქართული ლექსიკის არაჩვეულებრივი ზრდა და გამდიდრება საბჭოთა პერიოდში. იგი განმარტებითი და, ამავე დროს,


ფილოლოგიური ლექსიკონია: განმარტებებში სიტყვის ენციკლოპედიური დახასიათება არაა წარმოდგენილი. ამასთან, ეს ლექსიკონი ნორმატიული ხასიათისაა. ეს ნიშნავს იმას, რომ, როცა საჭიროა, სიტყვის დაწერილობას, ხმარებულობას, აგებულებას და, ზოგჯერ, მნიშვნელობასაც დავასება ეძლევა.

ეს პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელშიც დოკუმენტაცია სისტემატურადაა წარმოდგენილი, სიტყვის განმარტებას ახლავს საილუსტრაციო გამოთქმა. უმეტეს შემთხვევაში საილუსტრაციო მასალა მხატვრული, პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ამოღებული, უფრო იშვიათად სასაუბრო ენაში ხმარებული ფრაზებიცაა გამოყენებული.

ლექსიკონს დართული წერილები და წინასიტყვაობა ამოწურავ წარმოდგენას გვაძლევს როგორც ლექსიკონის აღნაგობაზე, ისე ყველა იმ საკითხზე, რომლის ცოდნაც აუცილებელია ლექსიკონის მომხმარებლისათვის, რომ ლექსიკონის გამოყენება თავისუფლად შეძლოს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ქართველ ხალხს განუსაზღვრელი შესაძლებლობები მიეცა თავისი კულტურის განვითარებისა მშობლიურ ენაზე, ქართული საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენა არაჩვეულებრივად განვითარდა და გამდიდრდა. განსაკუთრებით შეეხო ეს ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობას, რომელიც შეივსო ახალი ტერმინებითა და გამოთქმებით. „საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობის მეოხებით ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურული ენის პატრონი ვართ“ (კ. ჩარკვიანი). ამჟამად ჩვენს წინაშე ამ ენის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, მისი სიწმინდის დაცვისა და მთელ ქართველ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრების ამოცანა დგას. ამ დიდ საქმეში ჩრდილად განსაკუთრებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ როლი.

4892



სსრ კავშირის თასი კალათბურთში ფოტო კ. კრიმსკისა

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მესამედაც მოეპოვებინა საპატიო პრიზი — სსრ კავშირის თასი. ამ სულისკვეთებით იენისის შუა რიცხვებში გუნდი გაემგზავრა ლენინგრადს.

დაიწყო შეჯიბრება. პირველი მატჩი აზერბაიჯანის გუნდთან გამარჯვება — 67:41; მეორე შეხვედრა ყაზახეთის კოლექტივთან; კვლავ მოგება — 89:28; მესამე თამაში ლატვიის წარმომადგენლებთან... გამარჯვება 49:31... და, ბოლოს, ფინალი მოსკოვის ნაკრებთან.

ქართველმა კალათბურთელებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. ისინი თამაშობდნენ თავგამოდებით, მთელი სულითა და გულით, შეიძლება ითქვას, თავგანწირვითაც კი; მით უმეტეს, რომ მათ რიგებს აკლდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ო. ქორქია, აგრეთვე ჯ. ნიქარაძე, მაშინ, როდესაც მოსკოველთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები ა. კონევი და ა. მოისევი.

მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა. სადემონსტრაციო დაფაზეა 37:28 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ბროლის თასის ვერცხლის ფირფიტაზე მესამედ დაიწერა ნაცნობი სიტყვები: „დინამო“ (თბილისი).

ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ სახელს იცავდნენ ნ. ჯორჯიკია, ლ. არღანაშვილი, ლ. ინწკირველი, გ. ბახტურიძე, ვ. ქლენტი, ა. კილაძე, დ. გომიაშვილი, გ. რუხაძე, შ. ქორქიაშვილი. გუნდის მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

* * *

თბილისის ცირკის არენაზე საჭიდაო ხალიჩასთან ჩვენი ქვეყნის 130 საუკეთესო მოჭიდავე გამოვიდა.

... გაისმა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები და ცირკის თაღებზე აღიმართა გათამაშების წითელი ალამი. დაიწყო VII საკავშირო პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონის ოქროს მედლებს ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები ა. მეკოიშვილი, ა. მასური, ა. იალტირიანი, დ. ციმაკურიძე, ა. ენვლასი, ვ. ილურიძე და სხვ.

6 დღის მწვავე და საინტერესო ასპარეზობის შემდეგ მოჭიდავეები კვლავ გამოვიდნენ საპარადო წყობით ცირკის არენაზე და წრიულად მოეწყვენ: აქ იყვნენ უძლიერესი უძლიერესთა შორის — ჩემპიონები და მეორე-მესამე ადგილებზე გამოსულნი. გამარჯვებულთა პარადში 24 კაციდან 10 საქართველოს წარმომადგენელი იყო. ქართველმა მოჭიდავეებმა სპორტის ამ სახის ბრწყინვალე ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობა გამოამჟღავნეს და 10 საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ჩემპიონის წითელი მაისური და ოქროს მედალი ერთობილესლებს — ენერგიულ ე. ქარქუსაშვილსა (ქვესაშუალო წონა) და ტემპერამენტთან დ. ციმაკურიძეს (საშუალო წონა), ამ უკანასკნელმა მეექვსედ დაიმსახურა ეს საპატიო წოდება.

* * *

დნებროპეტროვსკში დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებამ ფრენბურთში. ტურნირში სერიოზული წარმატება მოიპოვა საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც ცხარე ბრძოლების შემდეგ მოიპოვა საფინალო მატჩში მონაწილეობის უფლება. გადამწყვეტ თამაშში იგი შეხვდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს — მოსკოვის „დინამოს“.

მოედანზე გაიმართა დაძაბული ასპარეზობა. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 3:0, მაგრამ ცალკეული ბარტიების ანგარიში — 15:13, 15:12, 15:10 — ნათლად მეტყველებს იმ უარესად მწვავე ბრძოლაზე, რომელიც წარმოებდა ამ ორ შესანიშნავ გუნდს შორის.

წყალბურთი. — საქართველოსა და უზბეკეთის სსრ გუნდებს შორის თამაშის ერთ-ერთი მომენტი. ეს შეხვედრა დამთავრდა საქართველოს კოლექტივის გამარჯვებით ანგარიშით 15:1.

ფოტო კ. კრიმსკისა.



თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის საწვრთნელი თამაშის ერთ-ერთი მომენტი.


ფოტო ვლ. გ — ლისა

* * *

მაისში საქართველოს უძლიერეს მძლეობანთა ჯგუფი ესტუმრა დიდი ბელადის სამშობლო ქალაქს. აქ სახელმწიფო რეკორდს მენებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო დაუსწრებელ შეჯიბრებაში.

ასპარეზობაზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნინო დუმბაძემ, რომელმაც ბადრო ტყორცნა 53 მეტრსა და 37 სმ-ზე. ეს შედეგი აღემატება მისსავე საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს.

ივლისში ფიზკულტურის რესპუბლიკურმა და გორის საქალაქო კომიტეტებმა კვლავ მოაწყეს საქართველოს სსრ, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების საღამო. უძლიერესმა ძაღვსებმა გ. ნოვაკმა, დ. კაბცოვმა და სხვ. კვლავ გააუმჯობესეს თავიანთი ძველი მიღწევები.



დოქ. გ. ზარდალიძის


ეს რუკა შედგენილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ თითქმის 2 1/2 საუკუნის წინათ, ე. ი. მაშინ, როდესაც ვახტანგ VI-ის თაოსნობით შეიქმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია და ეს უკანასკნელი აწარმოებდა საქართველოს ისტორიულ-ქრონოლოგიურ, გენეალოგიურ, გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებას. ცხადია, კომისია ეყრდნობოდა არსებულ მდიდარ საბუთებს, მაგალითად, თვით ვახტანგ VI-მ დაწერა გეოგრაფიული ხასიათის საინტერესო შრომა „საქართველოს საზღვრების აღწერა“. იმავე პერიოდს მიეკუთვნება დიდებული ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ზაგრატიონის შრომები და რუკები. ვახუშტის დრომდე არსებულმა რუკებმა და სხვა მასალებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა თვით ვახუშტი იხსენიებს რაღაც „შემოკლებულ რუკებს“, რომლებიც მას გამოუყენებია თავისი რუკის შესადგენად. ვახუშტის რუკები, როგორც ცნობილია, შედგენილ იქნა 1730-1735 წლებში, ხოლო 1737 წ. ითარგმნა ფრანგულ ენაზე.

სულხან-საბა ორბელიანის რუკა ვახუშტის რუკებზე უფრო ადრე შედგენილია და, ალბათ, ვახუშტი იყენებდა არა მარტო „შემოკლებულ რუკებს“, არამედ თვით ორბელიანის რუკასაც. რუკა შედგენილია დეტალურად, მოცემულია იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფა, მთავარი დასახლებული პუნქტები, მოსაზღვრე ქვეყნები (განსაკუთრებით თანამედროვე აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიები).

როგორც ცნობილია, 1714 წლის აპრილში საბა ბარის ჩავიდა, ლუღოვიკო XIV-ს წარუდგინა ვახტანგ მეფის წერილი და საქართველოსა და მის მეზობელ მხარეთა ქვეყნების რუკები.

ისმება კითხვა: — რად დასჭირდა ორბელიანს რუკის გადაცემა საფრანგეთის მონარქისთვის? ცნობილია, რომ სულხან-საბა ლუღოვიკო XIV-ს სთხოვდა ვახტანგ მეფის ტყვეობიდან გამოსხნას, სამაგიეროდ მან აღუთქვა ლუღოვიკოს, რომ ქართველები და კავკასიის სხვა ტომები კათოლიკობას მიიღებდნენ, ფრანგ ვაჭრებს ჰპირდებოდა ხატრანციტო გზას საქართველოდან ირანში და სხვ. საბამ ლუღოვიკოს სპეციალურად შედგენილი რუკა წარუდგინა, რათა ამ უკანასკნელს წარმოეღებინა ჰქონოდა იმ ქვეყნების შესახებ, რომლებზეც ლაპარაკი იყო ვახტანგ მეფის წერილსა და საბას თხოვნაში.

რუკა შედგენილია თვით სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ამას ამტკიცებს რუკის მარჯვნივ, ზედაკუთხეში მოთავსებული წარწერა, რომ ეს არის კასიის ზღვისპირა მოსაზღვრე ქვეყნების რუკა. დაიბეჭდა მეფის ბრძანებით (ივულის-



ნმება რუკის ფრანგული თარგმანი ლუღოვიკო XIV-ს ბრძანებით). რუკა თარგმნილია ფრანგულ ენაზე აკადემიკოს გეოგრაფის გილიომ დე-ლილის მიერ, გამოცემულა 1723 წლის 15 აგვისტოს თარიღით.

როგორც ცნობილია, ლუღოვიკო XIV-მ სულხან-საბა ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა. უნდა ვივლით, რომ რუკას შემდეგ საფრანგეთის ხელისუფალთათვის თითქმის აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერი რუკა ლუღოს გადასცეს (სადაც, ალბათ, დღემდე ინახება), ხოლო ამ დედნიდან (როგორც რუკაზე აღნიშნული) რუკა სთარგმნა აკადემიკოსმა გეოგრაფმა დე-ლილმა მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ საბას ბარისში ჩასვლიდან. საბა ევროპაში 1713 წელს გაემგზავრა, მაშასადამე რუკა შედგენილი იქნებოდა უფრო ადრე 1710-1712 წლებში, ვახუშტი ზაგრატიონის რუკებზე ადრე. თავისი სიზუსტითა და სისწორით სულხან-საბას რუკა იმდროინდელი მსოფლიო გეოგრაფიული მეცნიერების მიღწევათა სიმაღლეზე დგას.

სულხან-საბა ორბელიანი ის დიდი ქართველი მეცნიერია, რომელმაც ვახუშტი ზაგრატიონთან ერთად ქართული გეოგრაფიის და კარტოგრაფიის განვითარება სრულიად ახალ გზაზე გამოიყვანა. ამის საბუთია მისი შესანიშნავი რუკა, რომელიც ჩვენი წინაპრების საქმოდ ფართო გეოგრაფიულ ჰორიზონტის მაჩვენებელია და მაღალგანვითარებული გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მეცნიერების არსებობის უტყუარი მოწმეა.

ანტიბაქტერიული ნივთიერებანი თაფლში

უძველესი დროიდან ცნობილია, რომ თაფლი წესიერი შენახვის დროს დიდხანს არ ფუჭდება. ეგვიპტის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ თაფლმა თავისი გემო შეიძლება შეინახოს ასეთი და ათასეული წლების მანძილზე.

არაბეთის ექიმმა და მოგზაურმა აბდ-ალ-ლაფიტიმა (XII ს.) ერთ-ერთ პირამიდაში ნახა თაფლით სავსე დახურული ქურქული, რომელშიც გაუხრწნელად შენახული იყო ჩვილი ბავშვის გვამი. არსებობს ლიტერატურული მითითებანი, რომ თაფლი ძველ ეგვიპტისა და საბერძნეთში იხმარებოდა გვამის დაკონსერვებისათვის.

ძველი გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც ლაშქრობაში გარდაიცვალა, აზიის უდაბნოებიდან მაკედონიის სატახტო ქალაქში გადმოიტანა იქნა თაფლი ჩადებულში. ასეთივე წესით იყო დაკონსერვებული ძველი სპარტის მეფეების აგესიპოლისისა და აგეზილას გვამები. უფრო გვიან პერიოდში მდიდარ რომაელებს ძვირფასი და იშვიათი ფრინველები მოჰქონდათ შორეული ქვეყნებიდან თაფლში დაკონსერვებული.

ზოგოვი

აგრეთვე, ძველთაგანვე იყო ცნობილი, რომ თაფლი წარმოადგენს ჭრილობის მოსარჩენად საუკეთესო საშუალებას. თაფლის აღნიშნული თვისებები დღეს მეცნიერულად არის შემოწმებული და დადგენილი; დამტკიცებულ იქნა, რომ თაფლი აჩერებს ბაქტერიების ზრდას და ძლიერი ბაქტერიციდური თვისებები აქვს. სხვადასხვა მეცნიერი თაფლის ამ თვისებებს სხვადასხვა მიზეზით ხსნიდა. ზოგიერთი ამ თვისებას შაქრის მაღალ

კონცენტრაციას აწერდა, ზოგი ორგანულ მჟავებს, ზოგი კი შაქრებისა და ფერმენტების კომბინირებული მოქმედებით ხსნიდა. მკვლევართა ნაწილის შეხედულებით თაფლის ანტიბაქტერიული თვისება ფუტკრის სეკრეტორული მოქმედების შედეგად უნდა იყოს. ამ უკანასკნელ დროს თაფლში, მართლაც, აღმოჩენილი იქნა ფოტო და თერმოლაბილი რეაქტიური ანტიბაქტერიული ნივთიერებანი. საბჭოთა მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ თაფ-

ლის ანტიბაქტერიული ნივთიერებანი წარმოადგენენ მუშა ფუტკრის სეკრეტორული მოქმედების შედეგს; ფუტკრების მიერ გამოყოფილი ნივთიერებანი ბაქტერიების ზრდას აჩერებენ. ასეთ ნივთიერებებს ინგიბიტორებს უწოდებენ.

საბჭოთა მკვლევარებმა ფუტკარი ხელოვნურად გამოკვებეს ისეთი ნივთიერებებით, რომელთაც სწრაფად ფუჭდება (კვერცხით, რძით, სისხლით და სხვ.) და მიუხედავად ამისა მთელს ისეთი თაფლი, რომელსაც კიდევ მეტი ანტიბაქტერიული თვისება აქვს და რომელიც უკვე 9 წელიწადია რაც გაუფუჭებლად ინახება. თაფლის ანტიბაქტერიული თვისებები ახალ პერსპექტივას სახავს მისი გამოყენების საქმეში.

კაპაბლანკა — გომრიძე

ლაზიერების გამბინტი

- 1. d2 — d4 d7 — d5
- 2. e2 — c4 e7 — e6
- 3. მხ b1 — c3 მხ g8 — f6
- 4. კ c1 — g5 კ f8 — e7
- 5. e2 — e3 მხ. h8 — d7
- 6. მხ. g1 — f3 0 — 0
- 7. a2 — a3 d5 : c4
- 8. კ f1 : c4 c7 — c5
- 9. 0 — 0 a7 — a6
- 10. d4 : c5 . . .

თეთრები უარს ამბობენ გაურკვეველ და რთულ თამაშზე, რაც მოჰყვებოდა 10 ლ e2, b5. 11 კ d3, კ b7 და შავების მდგომარეობა სრულებითაც არ არის უარესი.

- 10. . . . მხ d7 : c5
- 11. b2 — b4 მხ. c5 — e4
- 12. მხ c3 : e4 მხ f6 : e4
- 13. კ g5 : e7 ლ d8 : e7
- 14. ლ d1 — d4 . . .

ამ პოზიციაზე კაპაბლანკა დიდ იმედს ამყარებდა და თვლიდა თავისთვის ხელსაყრელად. შავების მდგომარეობა მართლაც როდია იოლი. თეთრები იმუქრებიან ე f d1, ე a c1 და იმუქვდებიან მოწინააღმდეგეს. მაგრამ შავები პოულობენ დაცვის საშუალებას.

- 14. . . . მხ e4 — d6!

უკან იხევენ კუზე თავდასხმით და ამგვარად იგებენ ჩამორჩენილ ლაზიერის ფლანგის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ტემპს.

- 15. კ e4 — e2 b7 — b5

ახლა შავები დროულად ასწრებენ თავიანთი ფიგურების საჭირო განლაგებას.

- 16. ე f1 — d1 ე f8 — d8

უარესია 16. . . . მხ f5, რადგან მხედარი დგება ნაკლებ ძლიერ პოზიციაზე.

- 17. ე a1 — c1 კ e8 — b7

ახლა შავები იმუქრებიან 18. . . . მხ e4 19. ლ c3, ე a c8 თამაშის სრული გათანაბრებით.

- 18. ლ d4 — b6 . . .

თეთრები კიდევ ცდილობენ აქტივობის გამოჩენას, იმუქრებიან რა 19. ე c7.

- 18. . . . კ b7 — d5
- 19. ე c1 — e7 ლ e7 — f6

კრიტიკული მდგომარეობაა, როგორ გააგრძელონ თეთრებმა? თუ ითამაშებენ მხ d4, მაშინ შავებს აქვთ კარგი ვაგარი 20. . . . კ e4 და კიდევ უკეთესი — 20. . . . მხ e8 თეთრების ფიგურების უკუგდებათ. მაგალითად:

20. . . . მხ e8 21. ე c1, ე d6 22. ლ c5, ე a d8 და შემდეგ e5, რითაც ინიციატივას იგდებენ ხელთ. ამას გარდა შავები ემუქრებიან ლაზიერით ხ2-ზე შეტრას და მ3 პაიჭზე იერიშს. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, თეთრები მიაღიან თამაშის გამარტივებაზე.

- 20. ლ b6 — d4 . . .

ამ ხელის შემდეგ პოზიცია მარტივდება, რადგან ხდება ბევრი ფიგურის გაცვლა. შავები ვერ აიცილებენ გაცვლას თავიანთი პოზიციის დაუზიანებლად.

- 20. . . . ლ f6 : d4
- 21. მხ f3 : d4 ე d8 — c8
- 22. ე d1 — c1 ე c8 : e7
- 23. ე c1 : e7 ე a8 — c8
- 24. ე e7 : c8 + მხ d6 : e8
- 25. კ e2 — d3 მხ c8 — d6
- 26. f2 — f3 e6 — e5

ფიგურების შემდგომი გაცვლით.

- 27. მხ d4 — f5 მხ d6 : f5
- 28. კ d3 : f5 კ d5 — b7

აუცილებელია პაიკ მ6-ზე იერიშის თავიდან ასაცილებლად.

- 29. მფ g1 — f2 h7 — h6
- 30. მფ f2 — e2 მფ g8 — f8
- 31. მფ e2 — d3 მფ f8 — e7
- 32. კ f5 — e4 კ b7 : e4 +
- 33. მფ d3 : e4 მფ e7 — e6

ყაიმი

*) გათამაშებულია მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირზე 1935 წელს. ამოღებულია წიგნიდან: В. А. Гоглидзе „Избранные партии“. Изд. „Заря Востока“ Тбилиси 1949 г.

ამ ნომერში მოთავსებულია ფოტორეპროდუქცია — იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ი. ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკების რეპროდუქცია — „დიადი ჰაბუკი“. უჩა ჯაფარიძის ნახატის — „პირველი მაისის დემონსტრაცია თბილისში ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით, 1901 წ.“; ა. ციმაკურიძის ნახატის — „ქვიშეთი“; მოსე თოიძის ნახატის — „კალობა“ (1904) და ა. მრეკლიშვილის ნახატის — „დაბალი ღობე“ რეპროდუქციებით.

ფიგურების შემდგომი გაცვლით.

27. მხ d4 — f5 მხ d6 : f5

28. კ d3 : f5 კ d5 — b7

აუცილებელია პაიკ მ6-ზე იერიშის თავიდან ასაცილებლად.

29. მფ g1 — f2 h7 — h6

30. მფ f2 — e2 მფ g8 — f8

31. მფ e2 — d3 მფ f8 — e7


32. კ f5 — e4 კ b7 : e4 +

33. მფ d3 : e4 მფ e7 — e6

ყაიმი

*) გათამაშებულია მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირზე 1935 წელს. ამოღებულია წიგნიდან: В. А. Гоглидзе „Избранные партии“. Изд. „Заря Востока“ Тбилиси 1949 г.

ამ ნომერში მოთავსებულია ფოტორეპროდუქცია — იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ი. ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკების რეპროდუქცია — „დიადი ჰაბუკი“. უჩა ჯაფარიძის ნახატის — „პირველი მაისის დემონსტრაცია თბილისში ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით, 1901 წ.“; ა. ციმაკურიძის ნახატის — „ქვიშეთი“; მოსე თოიძის ნახატის — „კალობა“ (1904) და ა. მრეკლიშვილის ნახატის — „დაბალი ღობე“ რეპროდუქციებით.



კროსვორდი

ჰორიზონტალურად:

1. პურეულის ნამჯის კვერით ნაღვეწი.
3. ზ. ფალიაშვილის ოპერა.
7. განსაზღვრული დრო, მოცემული რაიმე დავალების შესასრულებლად.
9. მოგზაურობის საშუალება.
10. მოუხარშავი.
11. მწერი.
14. სწორი ადგილი, ველი.
17. წიგნის ერთ-ერთი ნაწილი.
18. სუბტროპიკული მცენარე.
20. პატარა მალ-ლობი.
22. ძველბურთი ისრისმტყორანი იარაღი.
23. სიკეთის არდამფასებელი.
24. მუსიკალური ნაწარმოები.
29. პარაზიტული მცენარე.
31. ბურჟუაზიული რესპუბლიკა სამხრეთ ამერიკაში.
34. სამეცნიერო მიზნით ან გასართობად მოწყობილი მცირე მოგზაურობა.
36. სმენის ორგანო.
37. სურვილის ასრულების რწმენა.
38. სოფელი და რკინიგზის სადგური გორის რაიონში.
40. მიწისქვეშ მცხოვრები მწერიკამია ცხოველი.
41. თარის დასაკრავი წყირა.
42. საარჩევნო ყუთი.
43. ტვირთის სახიდი საშუალება სოფლად.
45. გადამდარი კარაქი.
46. ქალაქი კასპის ზღვის პირას.
47. ტექნიკური და სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებლების სახელწოდება.
49. გარეული ცხოველი.
51. ჯარი.
54. სოფელი და რკინიგზის სადგური კასპის რაიონში.
57. ხმლის, ხანჯლის ბუდე.
58. რკინის ან ფოლადის საფარი.
59. ერთ-ერთი საოჯახო ხელსაწყო დიასახლისთათვის.
60. კავკასიის ერთ-ერთი ტომის (ეროვნების) წარმომადგენელი.
61. მცენარე.
63. საკრავი.
65. მდინარე ციმბირში.
67. წყლული.
68. ძვირფასი ლითონი.
71. ცნობილი ესპანელი რევოლუციონერი ქალი.
72. თმის საღებავი.

ვერტიკალურად:

1. შინაური ფრინველი.
2. ცხოველის მოკაუჭებელი, დაგრძელებული კბილი.
3. მათრობელა სასმელი.
4. ტერმინი ფეხბურთში.
5. ყანაღი, მძარცველი, კაცის მკვლელი.
6. ადამიანის სხეულის ერთ-ერთი ნაწილი.
8. უახლოესი ნათესავი.
11. სასოფლო-სამეურნეო იარაღი.
12. მტერი.
13. დასანთლული ჩლა.
15. მარტოხელა, უპატრონო, ობოლი.
16. სოფელი და რკინიგზის სადგური ქარელის რაიონში.
19. დელეგაცია რაიმე დავალებით.
21. სახლი.
25. ტანსაცმელი.
26. მიწის თხილი.
27. არქიტექტურაში რამდენჯერმე განმეორებული სხვადასხვა სახის ტენილი, კლაკნილი ხაზები ან ზოლები.
28. მთა თურქეთში.
29. სიფრიფანა.
30. შეჯიბრის დროს მიღწეული უარესი გამარჯვება.
32. ლაფი.
33. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში.
34. მითითური უმშვენიერესო ბალი.
35. ფოთლის გაუშლელი კოკარი.
36. ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი.
39. საყანედ გაკაფული ტყე ან ბუჩქნარი.
43. დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში.
44. სახელმწიფო ევროპაში.
46. წვიმა.
48. გესლიანი, გონებაშეხილი დაციწვა.
50. ყანის ალება.
52. პიესის მოქმედება.
53. მამაკაცის სახელი (ქართული).
55. ველური ყვავილი.
56. მიმზიდველი, წარმტაცი რამ ადამიანში.
62. პირისახის ერთ-ერთი ნაწილი.
64. მტაცებელი ფრინველი.
66. ხელნაწერი დოკუმენტი მომხდარ ამბავზე.
69. დროის ერთეული.
70. აღმოსავლეთის ხალხთა ღვთაება.

პასუხისმგებელი რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, გ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ქართული
ბიბლიოთეკა



ზეკარის გზაზე

ფოტო გ. რაზმაძისა

გარეკანის პირველ გვერდზე: რუსთავის მოწინავე ფოლადისმდნობელი გაიოზ ბერძნიშვილი (ფოტო კ. კრიმსკისა);
მეორე გვერდზე: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ფოტო ვლ. გინზბურგისა);
მეოთხე გვერდზე: სამგორი. წყლის საცდელი გაშვება (ფოტო ვლ. გ—ლისა).

ფანი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა